დანართი №2

დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ თბილისის N 59 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი

წევრები: ზაზა ჭანტურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ინგა ალავერდაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო გულმაგარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარინე შანშიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სოფიო გელაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დიმიტრი პოპოვი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი,წევრი).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	209469314

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	გლდანის რაიონი /გლდანის ხევი
ფაქტობრივი მისამართი	გლდანის რაიონი/გლდანის ხევი
საფოსტო ინდექსი	0178
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi59@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0322682959

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 3 23 0000974922 ;08.08.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	29, 30 აგვისტო 2023წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	დაწყებითი	ქართული	თბილისი,გლდანის რაიონი/გლდანის ხევი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საბაზო	ქართული	თბილისი,გლდანის რაიონი/გლდანის ხევი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;	საშუალო	ქართული	თბილისი,გლდანის რაიონი/გლდანის ხევი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლაში შედგა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა.

ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით .

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს- სკოლის დირექტორს,სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირებს, საქმისმწარმოებელს,სკოლის ბიბლიოთეკარს, და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან.

ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისა) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: **1200**	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

მეტწილად შესაბამისად შეფასდა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***ხარვეზი***
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო, საშუალო)**	***ხარვეზი***

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
1.1.1.4	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ*	*დაწესებულებამ წარმოადგინოს დეკლარირებული ღირებულებები, რითაც ხელმძღვანელო სკოლა.*
1.1.1.5	*სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;*	*დაწესებულებამ წარმოადგინოს სკოლის ფილოსოფიის საჯაროობის და ხელმისაწვდომობ მტკიცებულება.*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1.2.1.2	*სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას და ა.შ*	*დაწესებულებამ წარმოადგინოს მოქმედი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და მისი დამტკიცების დოკუმენტები.*
1.2.1.3	*სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;*	*დაწესებულებამ წარმოადგინოს უკვე დამტკიცებული სამოქმედო გეგმა და მისი დამტკიცების ამსახველი დოკუმენტები.*
1.2.1.4	*სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები და ა.შ.*	*დაწესებულებამ წარმოადგინოს სამოქმედო გეგმა და მისი დამტკიცების ამსახველი დოკუმენტები*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
3.1.2.3	*პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;*	*სკოლამ წარმოადგინოს იდენტიფიცირებული თანამშრომლების ნასამართლეობის, სქესობრივ თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვ ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, რომელ კანონმდებლობითაა დადგენილი.*
3.1.2.4	*პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;*	*სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს კვალიფიციურ პეროსნალის დასაქმება ექიმის პოზიციაზე (01.09.2024)*
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;*	*სკოლამ, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (25/11/2023) უზრუნველყოს:* *-შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ შეასბამისი დასკვნის მოპოვება;* *-შენობის უსაფრთხოების შესახებ შესაბამისი დასკვნის მოპოვება;* *-კვალიფიციური კადრის მეშვეობის პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა;* *-საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესაბამის ორგანისთან შეთანხმება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.5.1.3.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის მიხედვით (30.12.2024) უზრუნველყ სკოლის ინფრასტრუქტურის შესაბამისობაში მოყვანა.
3.6.3.1 -	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (30.11.2023 მდე).კერძოდ, შექმნას იფიციალურ ვებ გვერდი, რითაც მოახდეს საზოგადოების ინფორმირებას.
3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (30.11.2023 მდე).კერძოდ, შექმნას იფიციალურ ვებ გვერდი, რითაც მოახდეს საზოგადოების ინფორმირებას ქართულ ენაზე.
3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია და სხვ.	დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (30.11.2023 მდე).კერძოდ, შექმნას იფიციალურ ვებ გვერდი, რითაც მოახდეს საზოგადოების ინფორმირებულობას და ინდიკატორი გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსება.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	**სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია**
2.2.2.5.	სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემ ვერიფიკაციის	დაწესებულებამ უზრუნველყოს შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმ წარმოდგენა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
1.1.1.2	***სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავ საკუთარ როლს, როგორც სასკოლ საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნუ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცი კულტურულ სივრცეს;***	*სკოლის ხედვა სასურველია იყოს მოკლე განაცხადის სახით, რომელ განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადი მიზნებს (5-15 წლის პერსპექტივით). ხედვაში ასახული უნდა იყოს სკოლ მისწრაფებები ანუ როგორ უნდა რომ ხედავდეს სკოლა საკუთარ თავს დრო განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.*
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	***რჩევა***
3.2.1.2	*პერსონალის განვითარება ხორციელდე გამოვლენილი საჭიროებების საფუძველ შემუშავებული გეგმის შესაბამისად;*	*სასურველია დაწესებულებამ მარეგულირებელ დოკუმენტებში გაწეროს სკოლის მასწავლებლების გარდა სხვა თანამშრომელების პროფესიული განვითარების მექანიზმები.*
3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორ*	*დაწესებულებამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხეობის სპეციალისტი დასაქმებ*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას (პირველადი დახმარების აღმოჩენას;	
3.5.1.3	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის ინკლუზიუ გარემოს*	*მოაწყოს რესურსოთახი, ისე ,რომ მოსწავლეებს დასვენების საშუალება ქონდე ასევე კაბინეტი აღჭურვოს მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით.*
3.6.2.1	*სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამი საქმისწარმოების წესი;*	*დაწესებულებამ საქმიანობისას იხელმძღვანელოს შესაბამისი ნორმატიულ აქტებით, ამასთან განცხადებების მიღებისას დაიცვას საქართველოს ზოგად ადმინისტრაციული კოდექსის 78 მუხლის ,,ბ'' ქვეპუნქტით გასაზღვრული მოთხოვ (განმცხადებლის მაიდენტიფიცირებელ პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონ , სკოლამ გაუწიოს შესაბამისი პირების საშემსურლებლო დისციპლინ მონიტორინგი.*
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***რჩევა***
4.1.2.2	*სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა (საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუს შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;*	*დაწესებულებამ იხელმძღვანელოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცებ შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 1 იანვრის N04/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით (მუხლი 9, პუნქტი 6)სკოლ ვალდებულია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ.გადაწყვეტილება ორ სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელ*
4.2.3.1	*სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთ მუშაობის მექანიზმი;*	*სასურველია სკოლამ სსსმ მოსწავლეთათვის საგანმანათლებლო სერვისე სრულად შესთავაზოს, კერძოდ, სკოლაში არ იყო დასაქმებული ფსიქოლოგ (მულტ.გუნდის დასკვნების მიხედვით 3 სსსმ მოსწავლე საჭიროებდა ფსიქოლოგ მომსახურებას, რაზეც სკოლას არ მოუხდენია შესაბამისი რეაგირება)*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***რჩევა***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმები, იმ ინდიკატორებთან მიმართებით რაც დახარვეზდა. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია , რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები,ვადები და რესურსები რელევანტურია და იზიარებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პოზიციას.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს; სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლა (შემდგომში ,,დაწესებულება'', ,,სკოლა'') ახორციელებს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამას და რომლის მისიაა: ,,სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის პოზიტიური, განმავითარებელი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს თითოეული ჩვენთაგანისთვის წარმატების შანსს. შეძლებს გლობალურ სამყაროში სწრაფად ადაპტირებას, ინიციატივის გამოჩენას და საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღებას. იქნება 21-ე საუკუნის ლიდერი და პასუხისმგებლიანი მოქალაქე.'' სკოლის მისია დეკლარირებულია სასკოლო სასწავლო გეგმაში (2022-2023),რომლიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების გეგმის (2023-2030) პროექტი, სადაც ასახულია ხედვა, დაწესებულების განმარტებით, გეგმის დამტკიცების პროცედურები ვიზიტამდე ვერ მოესწრო და იგეგმება მისი უახლოეს მომავალში **დამტკიცება.სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა** სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი რითაც მოხდა სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა) შეთანხმება/განხილვა. წარმოდგნილი სხდომის ოქმით სკოლის მისაა: ,,სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის პოზიტიური, განმავითარებელი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რაც უზრუნველყოფს თითოეული ჩვენთაგანისთვის წარმატების შანსს. შეძლებს გლობალურ სამყაროში სწრაფად ადაპტირებას, ინიციატივის გამოჩენას და საკუთარ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის აღებას, იქნება 21 -ე საუკუნის ლიდერი და პასუხისმგებლიანი მოქალაქე''. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და ამავე ჯგუფის სხდომის ოქმები,სკოლის დირექტორის ბრძN 2-168; (29.08.23) ,, სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტის'' მიხედვით სკოლის ფილოსოფიის შემუშავებას უზრუნველყოფს საამისოდ შექმნილი ჯგუფი, ხოლო ამავე მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-9 თავით განსაზღვრულია, რომ სოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არ მტკიცდება, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სკოლის მისიაში იკვეთება, რომ დაწესებულების პრიორიტეტი უსაფრთხო-პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს ფორმირებაა, თუმცა სკოლას არ აქვს შემუსავებული ხედვა, რის საფუძველზეც შესაძლებელია ექსპერტებმა იმსჯელონ მის ინდიკატორთან **შესაბამისობაზე.სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგნისას წარმოადგინა** სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი რითაც მოხდა სკოლის ფილოსოფიის (მისია, ხედვა , ღირებულებების) შეთანხმება/განხილვა. წარმოდგნილი სხდომის ოქმით სკოლის ხედვაა:იყოს მყარი და მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამედროვე მოთხოვნათა და გამოწვევათა შესაბამისად,ზრუნავდეს თავისუფალი და კომპეტენტური ადამიანის ჩამოყალიბებაზე,წვლილი შექონდეს ქვეყნის სამეცნიერო,კულტურულ. სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში. სკოლა აღზრდის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალ პიროვნებას, რომელსაც მისცემს საფუძვლიან განათლებას და მუდმივად ცვალებად გარემოში ექნება ადაპტაციის უნარი, რათა დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი საზოგადოებაში'' ,

რჩევა:დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ხედვაში სასურველია იყოს მოკლე განაცხადის სახით, რომელიც განსაზღვრავს ორგანიზაციის განვითარების საშუალოვადიან ან გრძელვადიან მიზნებს (5-15 წლის პერსპექტივით). ხედვაში ასახული უნდა იყოს სკოლის მისწრაფებები ანუ როგორ უნდა რომ ხედავდეს სკოლა საკუთარ თავს დროის განსაზღვრული პერიოდის შემდეგ.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით; დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ამსახველი დოკუმენტაცია, სკოლამ ვიზიტის პერიოდში შეიმუშავა და დაამტკიცა (ბრძ.N 2-168; 29;08.23) ,, სკოლის მისიის, ხედვი და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი'', შესაბამისად, სკოლის განმარტებით, ვიზიტის შემდგომ სკოლა იზრუნებს სკოლის მისიის, ხედვი და ღირებულებების სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად შემუშავება-დამტკიცებას**დაწესებულებას არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილია აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახულია ,რომ უკვე შემუშავებული აქვს (07.09.23) სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, რომელიც სასკოლო საზოგადოების ჩართულობით შემუშავადა, წარმოდგენილია სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები და შედეგები, აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; სკოლის მიერ შემუშავებული მისიი, ხედვის და ღირებულებების გაზიარების ამსახველი მასალები არ წარმოუდგენია სკოლას,ვინაიდან სკოლის განმარტებით მიმდინარეობს სკოლის ფილოსოფიის შემუშავება- დამტკიცების პროცესი. **დაწესებულებას არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილია აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახულია ,რომ უკვე შემუშავებული (07.09.23) სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ ,თუმცა სკოლის დეკლარირებული ღირებულებები რითაც იხელმძღვანელებს სკოლა არ წარმოუდგენია., აღნიშნულის <u>გათვალისწინებით ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია.</u>**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; სკოლის მისია ხელმისაწვდომია საინფორმაციო დაფაზე სსგ -ის სახით, ხოლო ხედვა და ღირებულებები , ვინაიდან ვიზიტის დროს არ იყო შემუშავებული ,ამიტომ არ იყო ხელმისაწვდომი.დაწესებულებას არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილია აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახულია ,რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უკვე შემუშავებულია (07.09.23) სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ,თუმცა დეკლარირებული ღირებულებები რითაც იხელმძღვანელებს სკოლა არ წარმოუდგენია., აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი მეტწილად შესაბამისია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია : სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლა.შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწვლო გეგმით (2022-2023);

ინტერვიუს შედეგებით;

ბრძN 2-168; (29.08.23) ,, სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მისიის, ხედვი და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი.''

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში დაამტკიცა (ბრძN 2-168; 29.08.23) ,, სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მისიის, ხედვი და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი, რომელის მე-10 თავში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრებითა და გამოკითხვის გზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; სკოლას არ წარმოუდგენია დამტკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. **<u>დაწესებულებას არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახულია ,რომ უკვე დამტკიცებულია (07.09.23) შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, თუმცა ცენტრში არ გადმოუგზავნია და ექსპერტებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი სკოლის დამტკიცებული დოკუმენტი. რეკომენდებულია სკოლამ წარმოადგინოს დამტკიცებული, მოქმედი შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და მისი დამტკიცების ამსახველი მასალა. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.</u>**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთლიანი განვითარების გეგმა არ გამომდინარეობს სკოლის შვიდწლიანი გეგმიდან, ვინაიდან სკოლას არ ქონდა ვიზიტის დროს დამტკიცებული გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა.ამასთან, წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდია (2022-2023 სასწ. წელი). **<u>დაწესებულებას არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახულია ,რომ უკვე დამტკიცებულია (07.09.23) სამოქმედო გეგმა, თუმცა ცენტრში არ გადმოუგზავნია და ექსპერტებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი სკოლის დამტკიცებული დოკუმენტი. რეკომენდებულია სკოლამ</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>წარმოადგინოს დამტკიცებული, მოქმედი სამოქმედო გეგმა და მისი დამტკიცების ამსახველი მასალა. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.</u>

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გათვლილი არის 2022-2023 სასწავლო წელზე , შესაბამისად, სკოლას არ წარმოუდგენია ახალი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნებოდა გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას. **<u>დაწესებულებას არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახულია ,რომ უკვე დამტკიცებულია (07.09.23) სამოქმედო გეგმა, თუმცა ცენტრში არ გადმოუგზავნია და ექსპერტებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი სკოლის დამტკიცებული დოკუმენტი. რეკომენდებულია სკოლამ წარმოადგინოს დამტკიცებული, მოქმედი სამოქმედო გეგმა და მისი დამტკიცების ამსახველი მასალა. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება, როგორც მეტწილად შესაბამისი.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2022-2023 წ. ერთლიანი სამოქმედო გეგმა;

2023-2030 წ, სტრატეგიული გეგმის პროექტი;

ბრძN 2-168; 29.08.23 ,, სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მისიის, ხედვი და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი''

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;** სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მისიის, ხედვი და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი''მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, კერძოდ დოკუმენტის მე-12 თავში განხილულია , რომ სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას

უწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.ასევე, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება სტრატეგიული

გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხოცრილების შუაში და ბოლოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;** სკოლის მიერ წარმოდგენილი ,,სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მისიის, ხედვი და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტის''მიხედვით, სტრუქტურულად არის გამოსახული ეტაპები და პროცესები, რა დროსაც სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასების პროცესში , სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს, ინიციატივებს და ანგარიშებს აანალიზებს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;** ვინაიდან დაწესებულება პირველადი ავტორიზაციის პროცესშია, ინდიკატორი **ფასდება როგორც შესაბამისი.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.** დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სკოლის დირექცია და სკოლის განვითარებაზე მომუშავე ჯგუფი წარმოადგენს პროექტს, სადაც დეტალურად გაიწერება სკოლის სამომავლო ამოცანები, რომლებიც ძირითად გამოწვევებზე იქნება დაყრდნობილი.აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი **დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ბრძN 2-168; 29.08.23 ,, სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მისიის, ხედვი და ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი''

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული; სსიპ ქალაქ თბილისის N 59 საჯარო სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საშტატო ერთეულები განსაზღვრულია სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სკოლის საშტატო ნუსხით. სკოლაში დასაქმებულია დირექტორი,დირექტორის მოადგილეები, ბუღალტერი,მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი,საქმისმწარმოებელი,საინფორმაციო მენეჯერი, ბიბლიოთეკარი,ექიმი,დარაჯები,დამლაგებლები და სხვ. დასაქმებულ პირებთან შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია კონკრეტული ფუნქციები. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები : სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა თვიმმართველობა,დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მრჩეველთა საბჭო. სკოლა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობასა და მათ შორის კოორდინაცისთვის ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის და და ,,საჯარო სკოლის წესდების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N 448 ბრძანების მიხედვით და თანაშმრომლებთან დადებული შრომითი ხელშეკრულებით სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები.

აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.თანამშრომლების საქმიანობის აღმწერი ფუნქციები , რომელიც შრომითი ხელშეკრულების ნაწილია, განსაღვრავს თითეული დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომელიც თავის მხრივ ხელს უწყობს სტრუქტურული ერთეულების და დასაქმებულების საქმიანობის განხორციელებას.ინტერვიუს დროს ნათლად გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და ერთეულ თანამშრომლებს შორის როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები ისეა განაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა, რაც დადებითად აისახება სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობაზე.**ინდიკატორი შეაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დამტკიცებული საშტატო განრიგი ბრძანება ;
სკოლის შინაგანაწესი;
შრომით ხელშეკრულებები;
სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის აღმწერი ოქმები;
სამეურვეო საბჭოს არჩევის დოკუმენტები,
მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევის ოქმები;
დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; სკოლაში დამტკიცებულია შინაგანაწესი, რომელიც ადგენს შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს : სამუშაო კვირის ხანგრძლივობას და დროს, სამუშაოზე დაგვიანების ან გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, შვებულებით სარგებლობის შესახებ რეგულაციებს და ა.შ. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა ;როგორც დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, კოლეგებს შორის ურთიერთობა თანამშრომლობითია - საუკეთესო გამოცდილების და პრაქტიკის გაზიარება მიღებული ფორმაა.სკოლაში მოქმედებს დისციპლინური კომიტეტი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, იღებს საკუთარ უფლებამოსილებას მიკუთვნებულ გადაწყვეტილებებს საჭირო, რეგლაციების შესაბამისი ინტერვენციების შესახებ. სკოლაში შემუშავებულია კონკურსის გამოცხადების წესი, რომლის საფუძველზე პერსონალი შეირჩვა გამჭვირვალედ. სკოლა პერსონალის პრევენციული და ინტერვენციული მართვის მიზნით ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა შეძლებს რისკების მართვას და ფუნქციების სხვაზე დელეგირებას, მაგალითის სახით სკოლამ მოიყვანა მასწვლებლის ჩანაცვლების პრაქტიკა სხვა პედაგოგით.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; დაწესებულებაში სკოლის მასწავლებელთა შერჩევა და დასაქმება ხდება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით, სკოლაში მასწავლებლის დასაქმება მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 174/ნ ბრძანების შესაბამისად მიმდინარეობს, სკოლაში დაცულია მასწავლებლის შერჩევის მიზნით გამოცხადებული ვაკანსიის კომისიის შექმნის ბრძანება, ვაკანსია გამოცხადებულია მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილია საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა მასწავლებელთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, რომლიც შესაბამისობაში იყო კანონმდებლობასთან. სკოლაში დასაქმებული არის 2 მოწვეული მასწავლებელი , რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. თანამშრომელთა პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში არ არის დაცული ყველა თანამშრომელის ნასამართლეობის, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, რომელიც კანონმდებლობითაა დადგენილი.**დაწესებულებას არგუმენტირებული პოზიციისას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც ასახულია ,რომ იდენტიფიცირებული პედაგოგების მიერ კანონმდებლბით დადგენილი ცნობების წარმოდგენის უზრუნველყოფა დასრულებულია (15.09.23),თუმცა ცენტრში არ გადმოუგზავნია და ექსპერტებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი შესაბამისი ცნობები.რეკომენდებულია სკოლამ წარმოადგინოს მტკიცებულებების სახით იდენტიფიცირებული თანამშომლების კანონმდებლობით სავალდებულო ცნობები.აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.**

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; სკოლაში დასაქმებული ყველა მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“ გათვალისწინებულ სპეციალურ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. დაწესებულებაში ვიზიტის პერიოდში ექსპერტები გაიცნენ სკოლის თანამშრომლების პირად საქმეებს. დოკუმენტების შესწავლისა და მართვის საინფორმაციო სისტემიდან პორტირებული მონაცემების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში კონკურსის გზით დასაქმებული იყო ექიმი , რომელის კვალიფიკაცია არ შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ განსაზღვრულ ექიმის საკვალიფიკაციო პირობებს,რომლის მიხედვით ,,სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, საქართველოს ან უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში:ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“. **დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას ცენტრში წარმომადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით სკოლა (01.09.2024მდე) უზრუნვეყოფს კანონმდებლობით დადგენილი მოთხვნების შესაბამისი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

<u>კვალიფიკაციის მქონდე ექიმის მომზადებას. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.</u>

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს; დაწესებულების დირექტორის განმარტებით, სკოლაში ყველა პროცესი ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას. სკოლის საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება, აღნიშნული დადასტურდა საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს დროს, სკოლის ადმინისტრაცია ერთობლივად , გუნდურად ხელმძღვანელობს სკოლის პერსონალს, სკოლის სტრუქტურული ერთეულების: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს და სხვ. საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით პრინციპს,დამოუკიდებლად მოქმედებენ იღებენ გადაწყვეტილებებს,მართვის მონაწილეობითი სტილი და ორგანიზაციული კულტურა მიზნად ისახავს „ჩვენ“ განცდისა და ერთგულების ჩამოყალიბებას სასკოლო საზოგადოებაში და ინიციატივების განვითარებას გუნდში. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის შენაგანაწესის მიხედვით, სკოლას აქვს დადგენილი თანამშრომელთა წახალისების მექანიზმები: მადლობის გამოცხადება, ფულადი პრემია და სხვ. წარმატებული გამოცდილების გაზიარების მექანიზმი სკოლას ამ ეტაპზე არ წარმოუდგენია, თუმცა დაწესებულებამ თვითშეფასების დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინა სხვადასხვა სასკოლო პროექტების ამსახველი მასალა.ასევე,ინტერვიუირების დროს სკოლის თანამშრომლებმა გაუზიარეს ექსპერტებს ინფორმაცია ერთობლივად დაგეგმილი აქტივობების, ღონისძიებების თუ პროექტების თაობაზე, რომელთა ზეგავლენამ სასკოლო საზოგადოებაზე დადებით გავლენას იქონია.ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესით;
- საკონკურსო კომისიის შექმნისა და კონკურსისი გამოცხადების შესახებ ბრძანებით;
- საკონკურსო კომისიის შედეგების ოქმით;
- თანამშრომლეთა პირადი საქმეებით;
- შრომითი ხელშეკრულებებით;
- Eeschool ბაზის მონაცემებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;**

სკოლა საკუთარ პერსონალს აფასებს სხვადასხვა მიმართულებით.სკოლაში დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის'' (ბრძ. 2-166; 25.08.2023)დოკუმენტის მე-6 მუხლის მიხედვით: სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისათვის სკოლაში დანერგილია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში ხორციელდება პერსონალის პროფესიული ზრდა. ეს ხდება როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზმების საშუალებით გამოვლენილი საჭიროების შესაბამისად. ამ ეტაპზე სკოლას შემუშავებული აქვს ,,პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართული მასწავლებელთა ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება'', რომლის მიზანია მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა.სკოლა მასწავლებლებს მათი საჭიროების მიხედვით სთავაზობს დაესწრონ ტრენინგებს.

რჩევა: დაწესებულებამ იზრუნოს სკოლის მასწავლებლების გარდა, სხვა თანამშრომელების პროფესიული განვითარება ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;**

სკოლა მასწავლებლებს საშუალებას აძლევს და ახალისებს, ჩაატარონ სამუშაო შეხვედრები, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა პროფესიულ ზრდას. ყოველ წელს კიდევ უფრო მეტი მასწავლებელი იმაღლებს სტატუსს და ასევე კიდევ უფრო მეტი მასწავლებელი აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ვინაიდან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის, **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლა ხელს უწყობს თანაშრომლების ინტეგრაციას სასწავლო გარემოსთან. ახალი თანამშროლების ინტეგრაციის მიზნით მათ აცნობენ შიდა სასკოლო რეგულაციებს, აცნობენ თანამშრომლებს, წარდგენისას ხაზს უსვამენ მათს ძლიერ მხარეებს, აწევრიანებენ პროფესიულ და შიდა სოციალურ ჯგუფებში. ისინი მონაწილეობას იღებენ სტრუქტურული ერთეულების მუშაობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. დაწესებულების წარმომადგენლებთა და მასეავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა მუდმივად ითვალისწინებს მასწავლებლების ინიციატივებს და ამ მიზნით კათეედრების მომართვის საფუძველზე უზრუნველყოფს მათ ყველა ტიპის საგანმანათლებლო რესურსით. ვინაიდან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად; სკოლას შემუშავებული აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი'' (ბრძ. 2-166; 25.08.2023),რომლითაც რეგულირდება სწავლა-სწავლება, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვა, ადგენს ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებებს. დოკუმენტით უზრუნველყოფილია ხარისხის მონიტორინგი, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია ხარისხის უზრუნველსაყოფად იყენებს სხვადასხვა ტექნიკურ აღჭურვილობას, სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო მასალის მიწოდებას მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის. **ინდიკატორი სტანდარტის შესაბამისია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები; სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოები წარმოადგენს სასწავლო პროცესის ძირითად ღერძს, რომელიც აანალიზებს სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასებასა და მონიტორინგს. ასევე მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლეთა თვითმმართველობა. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის წესდებაში. სკოლის წესდებაში აღწერილია მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები). საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები (ნაბიჯები და ეტაპები) იდენტიფიცირებული და აღწერილია ნაწილობრივ სკოლის შინაგანაწესში. ძირითადი პროცესი - საგანმანთლებლო პროცესი - ნაწილობრივ აღწერილია სკოლის შინაგანაწესში და სსგ. ში მაგალითად, დისციპლინური წარმოება ჩანს - შინაგანაწესის თავში „მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი''. დამხმარე პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში. ხელშეკრულებები აწესრიგებს შრომითი ურთიერთობის წარმოშობას და შრომითი ურთიერთობის პირობებს (სამსახურში გამოუცხადებლობის შეტყობინების წესს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობას და მიცემის წესს, შვებულებას ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო და სხვა). საქმისწარმოების პროცესები ჩანს სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა; სკოლის შინაგანაწესში წარმოდგენილია მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების პროცედურები - მასწავლებლის და მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის და პასუხისმგებლობის სახეები (ცალ-ცალკე), დისციპლინური წარმოების წესი (მოსწავლისთვის და მასწავლებლისათვის), განცხადების და საჩივრის განხილვის წესი და.ა.შ.

სკოლაში მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი. საჭიროების შემთხვევაში, პედაგოგთა შესარჩევ კონკურსებთან დაკავშირებით, სკოლაში იქმნება საპრეტენზიო კომისია.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშკრულების პირობების გაცნობით, შინაგანაწესის გაცნობით კლასის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამრიგებლის მიერ ჩანიშნულ კრებაზე. პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურავადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და პასუხისმგებლობის სახეები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი''
- სკოლის შინაგანაწესი;
- შრომითი ხელშეკრულებები.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები; სკოლის განმარტებით, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში,საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლის წევრობა უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის და ჩართულობის შესაძლებლობას. ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს დოკუმენტაცია, რომელითაც რეგულირდება მშობელთა ჩართულობა. სკოლა განმარტავს, რომ მშობლებთან კომუნიკაციას ამყარებს კლასის დამრიგებელი და ის აწვდის ინფორმაციას ყველა საკითხზე. მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში იმართება კრება, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებს: მოსწავლეთა შეფასების სისტემას და ა.შ. გარდა ამისა, სკოლაში იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, სადაც მასწავლებლები მშობლებს საკუთარი შვილის შედეგების შესახებ აწვდიან ინფორმაციას. მშობლებთან კომუნიკაციისთვის დამრიგებლები ძირითადად იყენებენ სოციალურ ქსელებს. ასევე, ხშირია სატელეფონო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომუნიკაცია საჭიროებიდან გამომდინარე. სკოლის შენობაში მოწყობილია საინფორმაციო დაფა. გამოცემულ ბრძანებებს საქმისმწარმოებელი აცნობს დაინტერესებულ პირებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობას.კერძოდ, სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში მშობლები და პედაგოგები თანაბარი ხმის უფლებით სარგებლობენ. მოსწავლეთა თვითმმართველობასაც ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში. დისციპლინური კომიტეტიც, მოსწავლეებით, მშობლებით და პედაგოგებით არის დაკომპლექტებული, რაც თავის მხრივ ხელშემწყობი გარემოა სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართვისთვის.ვიზიტის დროს, ექსპერტები გაეცნენ სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის მუშაობის ამსახველ დოკუმენტაციას (ოქმები, გადაწყვეტილებები), რამაც ნათლად დაადასტურა, რომ ზემოაღნიშნული სტრუქტურული ერთეულებში თანამშრომლობა ხელს უწყობს სკოლის ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმებით;
სადამრიგებლო პროგრამებით;
ინტერვიუს შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას, კერძოდ, სკოლის ტერიტორია არ არის შემოღობილი, გარეშე პირები თავისუფლად გადაადგილდებიან სკოლის ტერიტორიაზე(ვიზიტის დროსაც დაფიქსირდა) და იყენებენ როგორც დამაკავშირებელ გზას. სკოლის განმარტებით, რამდენჯერმე მიმართა სსიპ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის სააგენტოს ღობის მოწყობის საკითხზე ,თუმცა ამ დრომდე უშედეგოდ. სკოლის გარე ფასადი არ არის უსაფრთხო, ვიზიტის პერიოდში ნალესი იყრებოდა , სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილდება მსხვილფეხა საქონელი, ამასთან, სკოლის ტერიტორია მოსაწესრიგებელი იყო სხვადასხვა ნარგავებისაგან(გასათიბი). სკოლაში დასაქმებულია 3 დარაჯი, ასევე სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მანდატურები , სკოლის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს გარე პერიმეტრის კონტროლს. სკოლამ ვიზიტის პერიოდში ვერ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან, ასევე სახანძრო უსაფრთხოების შესახებ შესაბამისი დასკვნა, ხოლო სახანძრო მიწერილობის მიხედვით ხარვეზის აღმოფხვრის ვადები გასულია. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ,, სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესი'' (ბრძN 2-167;25.08.23), ხოლო პირველადი დახმარების აღმოჩენის მექანიზმის თვალსაზრისით გარდა იმისა, რომ სკოლას არ ყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი,საქართველოს განათლებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ ბრძანებით №41/ნ/01-23/, 21.03.2022წ განსაზღვრული ბრძანების მიხედვითდგინდება, რომ სკოლა არ აწარმოებდა მედიკამენტების აღრიცხვის ფორმას, ვინაიდან სკოლის სამედიცინო კაბინეტში, მედიკამენტების კარადაში ვადაგასული წამლები ინახებოდა.სკოლაში სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა არ შეესაბამებოდა დადგენილ კანონმდებლობას, კერძოდ არ იყო შირმა,სკოლას მიეცა რჩევა პაციენტის პრივატულობის დაცვის მიზნით აღჭურვოს კაბინეტი შირმით. ასევე, სკოლამ უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის დასაქმება. **<u>დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიციით შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვით სკოლა უზრუნველყოფს (25.11.2023 მდე) : შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე დასკვნის მოპოვებას და საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის ორგანოსთან ,აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.</u>**

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას; საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით,სკოლამ წარმოადგინა უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირის დანიშვნის შესახებ ბრძანება, საზოგადოებრივ წესრიგს ასევე უზრუნველყოფენ სკოლის დარაჯები, მორიგე პედაგოგები. სკოლის შესასვლელში შენობაში უცხო პირთა გადაადგილებას და შესაბამის რეესტრს აწარმოებს დარაჯი. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს; სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია ფსიქოლოგიური ზეწოლის შემთხვევაში შესაბამისი სახდელები. სკოლის სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია კლასის საათის თემატიკა, რომლიც მიმართულია მოსწავლეებში კეთილგანწყობილი, ემოციურად უსაფრთხო გარემოს ფორმირებისათვის აუცილებელი აქტივობები, მათ შორის ბულინგის და კიბერბულინგის საწინააღმდეგო პრევენციული აქტივობები.სკოლაში განსაზღვრულია რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას; სკოლაში ვიზიტის დროს დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მიმდინარეობდა ახალი სასწავლო წლის დაწყების მოსამზადებელი სამუშოები, შესაბამისად, სკოლა არ იყო მოწესრიგებული სრულად. დაწესებულების სველი წერტილების დათვალიერებისას, რიგ შემთხვევაში დაზიანებული იყო ონკანები, უნიტაზები, კედლებზე მრავლობითი წარწერებით, სკოლას მიეცა რჩევა აწარმოოს ხშირი მონიტორინგი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოს სანიტარულ -ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფა სკოლის მთელ ტერიტორიაზე.**არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ შესაბამისობის გეგმით განსაზღვრა ვადები (14.09.23) და აქტივობები რითაც აღმოფხვრა ხარვეზი. აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას; დაწესებულება თვითშეფასების დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგინა ,, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმის დამტკიცების შესახებ ''(ბრძ. N 1/კ-03;15.02.2021;) დოკუმენტი,რომელიც განსაზღვრავს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს რათა უზრუნველყოს დამუშავების პროცესის კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები; დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით და ვიზულაური დათვალიერებით სკოლის საქმისმწარმოებელთან არის დაცული სკოლის თანამშრომლების და მოსწავლეების პირადი საქმეები, რომელიც შენახულია და ხელმისაწვდომი არ არის. სკოლა მუშაობის პროცესში იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში გამოყენებულ ყველა კომპიუტერში ლიცენზირებული პროგრამაა. პერსონალური ინფორმაცია არ ზიარდება ვებგვერდებზე, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხდება ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, პროცესების უსაფრთხოების დადგენის მიზნით მოხდება პერიოდული შეფასება კითხვარებით, სკოლის მიერ გამოყენებული იქნეს სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები, დაკვირვების სტრუქტურირებული მექანიზმები,ვინაიდან სკოლა პირველად ავტორიზაციას გადის, ამის გათვალისწინებით **ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვიზუალური დათვალიერებით;
დამლაგებლებთან დადებული ხელშეკრულებებით;
დარაჯებთან დადებული ხელშკრულებებით;
სანიტარულ-იგიენური დაცვის წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს შედეგებით.
შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, როშელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის განახლებული საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, დაწესებულების მისამართია: ქ.თბილისი,დასახლება გლდანულა,გლდანის ხევი . უძრავი ქონების საკადასტრო კოდია: N01.11.05.002.047

დაზუსტებული ფართობი :18 464.00 კვ. მ

შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: N1. N2. N3. საერთო ფართით 7531.38კვ.მ

სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქონება სახელმწიფოსგან არსებობის ვადით.

დაწესებულება შედეგება ძირითადი კოპრუსისგან , რომელიც დაკავშირებულია დერეფნით (ხიდი) დახმარე კორპუსთან.

ძირითადი შენობა 4 სართულისგან შედგება:

პირველ სართულზე - 5 საკლასო ოთახია , განთავსებულია დაჯარის, მანდატურის ოთახები, ბიბლიოთეკა,რესურსოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი.

მეორე სართულზე-12 საკლასო ოთახია, კომპიუტერული კლასი (25 კომპიუტერით),სველი წეტრილები,

მესამე სართულზე-სამასწავლებლოა, 9საკლასო ოთახი, სველი წერტილები;

მეოთხე სართულზე-10 საკლასო ოთახია, სველი წერტილები.

დამხმარე კორპუსში-პირველ სართულზე -სივრცე კვების ობიექტისთვის,სპორტული დარბაზია გასახდელებით(სარეაბილიტაციო);

მეორე სართულზე-არქივი, დირექციის კაბინეტები, სააქტო დარბაზი(სარეაბილიტაციო), მცირე საცურაო აუზი (სარეაბილიტაციო).

სკოლის პირველი სართული და დამხმარე კორპუსი სარეაბილიტაციოა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებობს რეკრეაციული სივრცეები (დერეფანი) სხვა მოსწავლეებთან ან მასწავლებლებთან კომუნიკაციისთვის. ასევე, სკოლაში არსებობს სივრცე მოსწავლეთა პრაქტიკული აქტივობებისთვის საკლასო ოთახების სახით.შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სკოლის ინფრასტურქტურა ვერ ქმნის ინკლუზიურ გარემოს ვინაიდან სკოლაში **<u>არ არის პანდუსი და შშმ პირებისთვის არ არის ხელმისაწდომი სკოლის ყველა სასწავლო კაბინეტი, როგორიცაა: ლაბორატორია, კომპიუტერული კლასი, დარბაზები და სხვ.არგუმენტირებული პოზიციით სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრავს რომ სკოლის ინფრაქსტრუქტურა , ისვე როგორვ მისი ინკლუზიური გარემოს მოწესრიგენა დასრულდება (30.12.24 მდე) აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი ნაწილობრივ შესაბამისობაშია.</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რჩევა: მოაწყოს რესურსოთახი, ისე ,რომ მოსწავლეებს დასვენების საშუალება ქონდეთ, ასევე აღჭურვოს კაბინეტი მრავალფეროვანი სასწავლო რესურსებით, რისთვისაც იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საჯარო სკოლებისადმი გაგზავნილი კორესპონდენციით (N 954107; 01.08.23).

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;** სკოლის ინფრასტრუქტურა მეტ- ნაკლებად ქმნის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბების შესაძლებლობას, სკოლაში სარეაბილიტაციოა სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი,სკოლის ეზო არ არის შემოღობლი და უსაფრთხო, რომ მოეწყოს რეკრეაციული ზონები.სკოლა ძირითადად სხვადასხვა კაბინეტს იყენებს სხვადასხვა აქტივობების განსაზორციელბად, მათ შორის სკოლის დერეფნებს, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები.** საინფორმაციო ტექნოლოგიების სწავლების მიზნით სკოლაში მოწყობილია კომპიუტერული კლასი აღჭურვილი 25 სტაციონარული კომპიუტერით.სკოლის ბიბლიოთეკაში დაცულია 46 971 ერთეული წიგნი. თუმცა სკოლაში არ არის მოწყობილი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია,ხოლო ლაბორატორიის აღჭურვილობა განთავსებულია დამხმარე კაბინეტში, კარადებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საჯარო რესტრის ამონაწერით;

- ვიზუალური დათვალიერებით;
- მატერიალური რესურსების ფლობის დიკუმენტაციით (მიღება-ჩაბარების აქტი);
- შენობის აზომვითი ნახაზით;
- ინვენტარიზაციის შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას; სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. კერძოდ,სკოლაში 25 კომპიუტერი არის კომპიუტერულ ლაბორატორიაში; სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით,აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლაში არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. შესაბამისად. სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომლის თანახმად გამოყოფილია საზიარო სივრცეები რითაც გაზრდილია ხელმისაწვდომობა ციფრულ ტექნილოგიებზე. დოკუმენტის მიხედვით:მოსწავლეებს და მასწავლებლებს კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებული სამუშაო სივრცით სარგებლობა შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, როცა კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები არ მიმდინარეობს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ვიზუალური დათვალიერებით.
საინფორმაციო ტექნოლოგიების ფლობის დოკუმენტაციით;
ცუფრული განვითარების გეგმით.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;**

სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი; დაწესებულებამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი (ბრძ. N 1/კ-54; 22.08.2023). აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმისმწარმოებელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას და სხვ.

რჩევა: *დაწესებულებამ საქმიანობისას იხელმძღვანელოს შესაბამისი ნორმატიული აქტებით, ამასთან განცხადებების მიღებისას დაიცვას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78 მუხლის ,,ბ'' ქვეპუნქტით გასაზღვრული მოთხოვნა (განმცხადებლის მაიდენტიფიცირებელ პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონი) , სკოლამ გაუწიოს შესაბამისი პირების საშემსურლებლო დისციპლინას მონიტორინგი.* **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow - ს სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი და საინფორმაციო მენეჯერები. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchoolს სისტემის მეშვეობით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლას აქვს ESCHOOL.EMIS.GE საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება eflow სისტემაში გატარებული დოკუმენტაციით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი;
- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- შემოსული და გასული კორესპონდენციებით;
- ინტერვიუს შედეგებით.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით; სკოლას ვიზიტი პერიოდში არ ქონდა ვებ გვერდზე ინფორმაცია ატვირთული, დაწესებულების განმარტებით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე სკოლა უზრუნველყოფს ვებ გვერდის გააქტიურებას და მონაცემების ასახვას. არგუმენტირებული პოზიციით სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრავს რომ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდება (30.11.23მდე) **აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას; სკოლის სოციალურ ქსელში https://www.facebook.com/59school განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების, მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით, ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გვერდის ადმინისტრირებაზე და გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლას შემუშავებული არ აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი. ინტერვიუს დროს კლასის დამრიგებლებმა და სკოლის დირექტორმა განაცხადეს, რომ მშობლებთან კომუნიკაცია ხდება დამრიგებლის მეშვეობით. ასევე, განსაზღვრულია პარასკევი დღე, როგორც მშობლების დღე. ამ დღეს მოდიან მშობლები და სურვილის და საჭიროების მიხედვით ესაუბრებიან მასწავლებლებს, სკოლა სააქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იყენებს სოციალურ ქსელში ასახულ და მშობლებთან შეხვედრების შედეგად მიღებულ უკუკავშირს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას; დაწესებულებას არ აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. **არგუმენტირებული პოზიციით სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრავს რომ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდება (30.11.23მდე) აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.**

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია. დაწესებულებას არ აქვს ვებ გვერდი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სკოლის შესახებ.**არგუმენტირებული პოზიციით სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრავს რომ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდება (30.11.23მდე) აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სიცილაური ქსელის დათვალიერებით;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება; სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი.

სკოლას დამატებითი დაფინანსების წყაროა კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ფინანსური სახსრები, რომელიც ასახულია სკოლის ბიუჯეტში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს ოქმების მიხედვით,სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიოტრინგის შედეგებს;

სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი შემუშავება სკოლის დირექტორის განმარტებით გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის საფუძველზე მიმდინარეობს.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტით;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებით;
- დაფინანსების ანალიზის შედეგებით;
- სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა. აღნიშნული ინდიკატორის დადასტურებას სკოლა ახდენს შინაგანაწესში გაწერილი მუხლების თანახმად. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება. მოსწავლეთა თვითმმართველობა სკოლაში მოქმედებს, როგორც საშუალო, ასევე საბაზო საფეხურზე. მოსწავლეთა თვითმმართველობა მონაწილეობს დისციპლინურ კომიტეტში და სამეურვეო საბჭოში, სადაც მოსწავლეები ახდენენ თავიანთი უფლებებისა დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფას.

სკოლა საკუთარი პრაქტიკით ადასტურებს, რომ სკოლის შინაგანაწესი არის საჯარო და გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლაში ვიზიტისას დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ სკოლის შინაგანაწესი არის საჯარო და მას იცნობს სასკოლო საზოგადოება. კლასების დამრიგებლები სხვადასხვა აქტივობებით სწავლის დაწყების წინ აცნობენ მშობლებსა და მოსწავლეებს შინაგანაწესს - მათ უფლებებსა და მოვალეობებს. ინფორმაციის გაცნობა ხდება სადამრიგებლო შეხვედრებზე (მშობელთა კრება, კლასის საათი) ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლების პორტფოლიოები, სადაც წარმოდგენილია განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალები. მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, რაც დადასტურებულია მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერით. ვიზუალური დათვალიერების დროს დადასტურდა, რომ სკოლის შენობის მხოლოდ პირველ სართულზე, საინფორმაციო დაფაზე, გამოკრული არის სკოლის შინაგანაწესი.

სკოლას შემუშავებული ჰქონდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგურილებელი წესი და აღნიშნული წესის მონიტორინგის მექანიზმები, რომლის ფარგლებშიც ჩამოყალიბებულია დასაქმებულთა და მოსწავლეთა პერსონალური ინფირმაციის დაცვის ძირითადი პრინციპები. სკოლას ბრძანებით დამტკიცებული ჰყავდა პერსონალურ მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, (ბრძანება N 2/35.)

დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციებით: სკოლის შინაგანაწესი, სკოლის წესდება, მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, პერსონალურ ინფორმაციათა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები და რეგულაციები, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორს დადებული ხელშეკრულებები უზრუნველყოფს ინდიკატორით გათვალისწინებულ მოთხოვნებს აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან.კერძოდ, პედაგოგებისათვის სკოლის შინაგანაწესის გაცნობა ხდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. მოსწავლის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის ამსახველი დოკუმენტი - შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას. ამასთან დამრიგებლების მეშვეობით ხდება მშობელთა კრებებზე შინაგანაწესის გაცნობა, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.**

სკოლაში ვიზიტისას ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან. გაფორმებული ხელშეკრულებებში განსაზღვრულია სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების საგანი, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და დავის გადაწყვეტა, მხარეთა ხელმოწერები. ხელშეკრულებაში გაწერილი პუნქტები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის წესდება;
- სკოლის თვითმმართველობის დებულება;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები .
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი.
- პერსონალურ მონაცემთა მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

4.1.2 სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N 04/ნ ბრძანების შესაბამისობით.
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების შესაბამისად. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა სკოლაში ხდება მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე. საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი სკოლას გაწერილი აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის (2022-2023წწ) მიხედვით დასტურდება საფეხურის დაძლევის მექანიზმები. სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესს. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა შესაძლებელია მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, კლასებში არსებული ვაკანტური ადგილების გათვალისწინებით. მოსწავლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჩარიცხვა და სტატუსის შეჩერება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე.სსსმ მოსწავლეების აკადემიური შეფასება ხორციელდება ისგ-ჯგუფის მიერ პერიოდული მონიტორინგის და საბოლოო შეფასების პირობებში.

რჩევა: *დაწესებულებამ იხელმძღვანელოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით განსაზღვრული წესით (მუხლი 9, პუნქტი 6)სკოლა ვალდებულია მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ორი სამუშაო დღის ვადაში აცნობოს მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ვიზიტის პერიოდში სკოლას შეჩერებული ჰქონდა მოსწავლეთათვის სტატუსი , ზემოაღნიშნული წესით გათვალისწინებული პიროებების გარეშე..*

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.**

სკოლას 2022/2023 სასწავლო წელს მოსწავლეებს არ შეუთავაზებია დამატებითი მომსახურების სახეები, თუმცა ინტერვიუს დროს დაზუსდა, რომ სკოლა 2023/2024 სასწავლო წლიდან გეგმავს დამატებითი მომსახურების შეთავაზებას. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ დირექტორის მიერ ხდება ბრძანების გამოცემა, სადაც განისაზღვრება მომსახურების სახე და საფასური. ამასთანავე, ამ მომსახურების შესახებ ინფორმაცია განთავსებული იქნება სოციალურ გვერდზე და სკოლის შიდა სასკოლო დაფაზე. შესაბამისად, ყველა დაინტერესებულ პირს ექნება მისი გაცნობის საშუალება. სკოლა ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს დამრიგებელი სასკოლო კრებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.**

სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ სკოლა განახლებულ ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს დამრიგებლების მეშვეობით. სხვადასხვა პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება ,,Teams” პლატფორმის, პირისპირ შეხვედრის საშუალებით. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს დააზუსტეს, რომ აქტიურად იყენებენ საინფორმაციო დაფას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სკოლის შინაგანაწესი.
- საფეხურის დაძლევის ბრძანება
- სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- ამორიცხვის ბრძანება;
- პედ. საბჭოს ოქმი საფეხურის დაძლევა;
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა სსსმ მოსწავლეზე;
- მეორე უცხო ენა- მშობელთა კრების ოქმი;
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- მოსწავლის ამორიცხვის ბრძანება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით არა აქვს წარმოდგენილი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი, თუმცა სკოლას პრაქტიკით ადასტურებს, რომ ადმინისტრაცია პრველკლასელი მოსწავლეების და მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მშობლებს, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით, აწვდის დეტალური ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით არსებული და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დასაცავი რეგულაციების შესახებ. სკოლამ წარმოადგინა სკოლამდელი დაწესებულების აღსაზრდელებისა და მათი მშობლების ვიზიტის დამადასტურებელი მასალები. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ აღნიშნული პრაქტიკით სკოლის ადმინისტრაცია მიზნად ისახავს მოსწავლეთა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლაში არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. წარმოდგენილი მასალები (დამრიგებლების პორტფოლიოები, განხორციელებული აქტივობის უკუკავშირი) მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი პროცესები სკოლის პრაქტიკიდან გამომდინარეა შექმნილი. სკოლას აქვს გამოცდილება, სწავლის დაწყების მომენიდან იზრუნოს მოსწავლეზე, რათა მოხდეს მისი ადაპტაცია სასწავლო გარემოსთან. ამ მიზნით ეწყობა პირველ კლასში შემსვლელ მოსწავლეთათვის ღონისძიება, მათთვის სკოლის გაცნობა. თითოეული კლასის დამრიგებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის სასკოლო გეგმის, დაგეგმილი აქტივობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, აცნობს სკოლის შინაგანაწესსა და მოსწავლეთა/მშობელთა უფლებებსა და მოვალეობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში ვიზიტისას შესწავლილი დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის მიზნით დაწესებულება საკონსულტაციო ფორმით დახმარებას უწევს მოსწავლეებს. ვიზიტისას ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლაში დაგეგმილი გამოცდების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და განთავსებულია სკოლის შიდა სივრცეში, საინფორმაციო დაფაზე. სკოლა სასწავლო პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი, რაც ეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. სკოლის ელექტრონული ჟურნალი ხელს უწყობს მოსწავლის, მშობელის დროულ ინფორმირებას. მოსწავლეებს სკოლის შიდა წლიური, სემესტრული და ექსტერნის გამოცდების წინარე პერიოდში საკონსულტაციო გრაფიკის მიხედვით უტარდებათ მეცადინეობები. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული აქვს საგამოცდო საგნებში კონსულტაციების გრაფიკი და გამოცდებზე პასუხისმგებელი პირი. გამოცდების შედეგების დამტკიცება განსაზღვრულია დირეტორის მ/შ. ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით. სკოლას საკუთარ რეგულაციებში განსაზღვრული აქვს მოსწავლის და მისი მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინდივიდუალური ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევების შესახებ (კონფიდენციალურობის დაცვით - ვიზიტის დროს სკოლამ ინტერვიუთი დააზუსტა, რომ პირისპირ შეხვედრები იმართება ინდივიდუალურად). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

დაწესებულების განმარტებით,სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწვლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უზიარებენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების გაცდენების, გამოცდების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის და სხვა წესის შესახებ. ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა დამრიგებლის პორტფოლიო, სადაც ცალკე დოკუმენტის სახით წარმოდგენილი იყო ოქმი, რომლითაც ხელმოწერით დასტურდება რომ დამრიგებლები მშობლებს აცნობენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს. ვიზიტის დროს ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდებას, რათა მათ საკუთარი უფლების დაცვის რეალიზების საშუალება ჰქონდეთ. **_ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;**

სკოლის მიერ წახალისებულია მოსწავლეთა მხრიდან ინიციატივები. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. კერძოდ, პერსონალის აქტიური მონაწილეობით იგეგმება სკოლის მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობები, როგორიცაა ექსკურსიები, თეატრებში გასვლით ღონისძებები, სასკოლო პროექტები. ყველა აღნიშნული ღონისძება ეწყობა კანონით დადგენილლი პროცედურების დაცვით. მაგალითად, სკოლა ექსკურსიის მოწყობის დროს იცავს მოქმედ რეგულაციას სკოლის პრაქტიკით დასტურდება მოსწავლეთა ინტერესების, სურვილებისა და პრობლემების იდენტიფიცირებისათვის განხორციელებული აქტივობები - დაკვირვება, გამოკითხვა. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, რომლითაც დასტურდება, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას და აქვს შესაძლებლობა, შექმნას სასკოლო კლუბები, გამოთქვას შესაბამისი ინიციატიცა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა მხრიდან აზრის დაფიქსირების შესაძლებლობა. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა დამრიგებლების პორტფოლიოებში განთავსებული მასალები, რომელიც ადასტურებს, რომ სკოლაში უკუკავშირის მიღება ხდება კლასის დამრიგებლებთან. კლასების დამრიგებლები სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით ღებულობენ ინფორმაციას მოსწავლეთა იდეების შესახებ. აღნიშნული გამოკითხვები ტარდება ანონიმურად. კლასების დამრიგებლებმა ინტერვიუთი დააზუსტეს, რომ გამოკითხვის დროს აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას სხვადასხვა არაფორმალური აქტივობების განხორციელების გზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროქტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მემორანდუმი - „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი;
- მემორანდუმი - „ხელბურთის ფედერაცია;
- „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში’ სტუმრობის ფოტო-მასალა
- დამრიგებლების პორტფოლიოები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4.2.2.სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობის მიზნით სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო პროგრამა. ვიზიტის დროს წარმოდგენილი დამრიგებლების პორტფოლიოები ადასტურებს, რომ სადამრიგებლო საათის ფარგლებში პედაგოგები ანხორციელებენ აქტივობებს სხვადასხვა პროფესიების პოპულარიზების მიზნით. აწყობენ ვიზიტებს სხვადასხვა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში. დამრიგებლის პორტფოლიოში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სხვადასხვა უნივერსიტეტისა და პროფესიული კოლეჯის წარმომადგენლებთან შეხვედრებს, ადგილზე მოსწავლეთა ვიზიტებს. სხვადასხვა უნივერსიტეტი და პროფესიული კოლეჯის წარმომადგენლები თანამშრომლობენ სკოლასთან და აწყობენ ღია კარის დღეებს სკოლის მოსწავლეებისათვის სხვადასხვა პროფესიების შეთავაზების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2**. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლაში ვიზიტისას დადასტურდა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანი საკითხია კარიერული დაგეგმვის პროგრამის შემუშავება და აღნიშნულ პროცესში მშობელთა ჩართულობა. სადამრიგებლო პროგრამით დასტურდება, რომ სკოლა სააღმზრდელო საათს იყენებს იმისათვის, რომ მოსწავლეებს მიაწოდონ ინფორმაცია კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. სკოლაში გეგმაზომიერად ეწყობა უმაღლესი სასწავლებლების მხრიდან ღია კარის დღეები და იმართება სამუშაო შეხვედრები კოლეჯთან. კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში მე-9, მე-10 და მე-11 კლასის დამრიგებლები აქტიურად არიან ჩართული მოსწავლეთათვის შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნადი პროფესიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებასა და მოსწავლეთა ინტერესების გამოკვეთაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით სკოლაში განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ სხვადასხვა დაწესებულებებში ვიზიტებს გეგმავს მოსწავლეების სურვილების და ინტერესების გათვალისწინებით. სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა ,,გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში" ვიზიტის ამსახველი ფოტო მასალა. ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სკოლა გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს მშობლების ჩართულობით, სადაც პროფესიების შერჩევის შესახებ გამართავს საუბრებს და არსებული გამოწვევების შესახებ საკუთარ გამოცდილებას უზიარებს მოსწავლეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- დამრიგებლის საათის თემატიკა.
- მემორანდუმი - „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი;
- მემორანდუმი - „ხელბურთის ფედერაცია;
- „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრში'' სტუმრობის ფოტო-მასალა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.3.სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ - ქალაქ თბილისის N 59 საჯარო სკოლამ ვიზიტისას წარმოადგინა სასკოლოო სასწავლო გეგმა, სადაც განსაზღვრული აქვს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისებით მიწოდების რეგულაცია. სკოლაში დამტიცებულია ინკლუზიურ განათლებაზე შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი, რომლის ამოცანაა სკოლაში ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა. სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, სადაც გაწერილია შესაბამისი აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები. მიმდინარე სასწავლო წელს სულ ირიცხება 7 სსსმ მოსწავლე. ინტერვიუს დროს სკოლის დირექტორმა დააზუსტა, რომ ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, სწავლის დაწყებამდე, მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასება ხდება მშობლის მომართვის საფუძველზე, სკოლის მხრიდან მულტიგუნდისათვის ინფორმაციის მიწოდების გზით; სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მშობლის/მეურვისა და მასწავლებლის/მასწავლებლების მომართვის საფუძველზე, სპეციალური მასწავლებლები ახდენენ პოტენციური სსსმ მოსწავლის შეფასებას, გაიწერება პირველადი მართვის გეგმა 1 თვის ვადით და იმ შემთხვევაში, თუ გაწეული ინტერვენცია არ იძლევა მოსწავლის სასწავლო შედეგების დამაკმაყოფილებლად ზრდის საშუალებას, სკოლა, მშობლის თანხმობით, მიმართავს მულტიგუნდს მოსწავლისთვის ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროების სტატუსის განსაზღვრის მიზნით.ინდიკატორი დაკმაყოფილებულია. *რჩევა: მართვის საინფორმაციო სისტემაში eschool-ში ასახული მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნების მიხედვით, 3 სსსმ მოსწავლე გარკვეული პერიოდია საჭიროებს ფსიქოლოგის მომსახურებას.სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰყავდა ფსიქოლოგი, დაწესებულებამ ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე, ვიზიტის პერიოდშივე დაიწყო საშტატო ნუსხის შეთანხმების პროცედურები ფსიქოლოგის დამატების მიზნით.მნიშვნელოვანია სკოლამ იზრუნოს სსსმ მოსწავლეთათვის სერვისების დროულ მიწოდებაზე.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.**

სსიპ - ქალაქ თბილისის N 59 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლეებისათვის გამოყოფილია რესურს/ოთახი, სადაც არ არის საკმარისი პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ სსსმ მოსწავლეებმა შესაბამისი მხარდაჭერა მიიღონ. სპეციალური მასწავლებელი საგნის მასწავლებლებთან ერთად ასევე ჩართულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში: ინტენსიურად თანამშრომლობენ, ერთობლივად გეგმავენ შემდგომ სამუშაო სტრატეგიებს. სპეციალური მასწავლებელი თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე ესწრება საგაკვეთილო პროცესს, მასწავლებელთან წინასწარ შეთანხმების საფუძველზე. ინტერვიუს გზით დადგინდა, რომ სპეციალური მასწავლებელი ინდივიდუალურად მუშაობს სსსმ მოსწავლესთან რესურსოთახში, რისთვისაც ოთახში გამოკრულია შესაბამისი განრიგი. ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტების ორგანიზებით ტარდება შეხვედრები ცნობიერების ამაღლების მიზნით მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან და მშობლებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბრძანება_ ინკლუზიურის ჯგუფის შექმნის შესახებ
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- ისგ ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- ისგ სამოქმედო გეგმა
- ისგ შიდა მონიტორინგის ჯგუფის ოქმი;
- მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დაწესებულებას იჯარის ფორმით დროებით სარგებლობაში აქვს გადაცემული ფართები: მუსიკალური სტუდიის, გახანგრძლივებული ჯგუფების, ქართული ცეკვების, სამეჯლისო ცეკვები, რაგბის წრეების ფუნქციონირებისთვის, დოკუმენტების შესწავლისას დადგინდა, რომ საქმიანობა მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე ხორციელდება **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას; სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება უფასო წრეების სახით ხორციელდება, უფასო წრეებზე დასაქმებულია იმავე სკოლის მასწავლებლები, ხოლო მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, სადაც განსაზღვრულია, რომ მასწავლებლი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვალდებულია გაუწიოს მოსწავლეს მომსახურება ანაზღაურების გარეშე. აღნიშნულით ირღვევა საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი (მუხლი2,პუნქტი 1). დაწესებულებამ ვიზიტის დროს აღნიშნა, რომ მომავალი 2023-2024 სასწავლო წლისთვის გაითვალისწინებს აღნიშნულ საკითხს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**.შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას, აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
იჯარის ხელშეკრულებებით;
უფასო წრეების შექმნის ბრძანებით;
უფასო წრის მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებებით.

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

სკოლამ ვიზიტის დრო წარმოადგინა ბრძანებით დამოწმებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით სასკოლო კურიკულუმის განვითარება არის უწყვეტი პროცესი, სადაც გათვალისწინებული არის სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი) ინტერესი და წარმოდგენები. სკოლის მიერ შექმნილი და წარმოდგენილი მეთოდოლოგია ითვალისწინებს კურიკულუმის შემუშავების, დანერგვის, აღნიშნული პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, გადასინჯვისა და რევიზიის უწყვეტ ეტაპებს. ინტერვიუს დროს დაზუსტდა სკოლის პრაქტიკაც, რომლის მიხედვითაც სკოლაში კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება შეხედულებებისა და ინტერესების, არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე (შეხვედრები კათედრის წევრებთან, მშობლებთან) სკოლამ წარმოადგინა კათედრის სხდომის ოქმები, სამოქმედო გეგმები, საიდანაც ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება წინა წლების გამოცდილების შედეგად. სასკოლო კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შექმნის პროცესში აქტიურად მონაწილეობს პედაგოგიური ჯგუფი, რომელიც კურიკულუმის შემუშავების და განვითრების პროცესში ხელმძღვანელობს სასკოლო საზოგადოების მიერ გაკეთებული რეფლექსიის საფუძველზე. სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ასახულია კურიკულუმში, რითაც დადასტურებულად შეიძლება ითქვას, რომ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესების, პრიორიტეტების, შესაძლებლობებისა და მიზნების გათვალისწინების საშუალებას. კერძოდ, მასწავლებლები გაკვეთილის ჩატარების პარალელურად, მოსწავლეთა ნამუშევრებზე დაყრდნობით აღწერენ და კოლეგებს უზიარებენ ინფორმაციას თითოეული მოსწავლის მიღწევებთან დაკავშირებით. მონაწილეობას იღებენ კათედრის წევრებთან ერთად სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და მუშაობის პროცესში ითვალისწინებენ რეკომენდაციებს, რომლებსაც შეიმუშავებს კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც მოიაზრებს თითოეული საგნის პედაგოგის მიერ კონკრეტული კლასის მოსწავლეების შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინტერესების, მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას. დაწყებითი საფეხურის ყველა საგნობრივი ჯგუფის სასწავლო პროგრამების კურიკულუმები ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოება აქტიურ ჩართულობას კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან ინტერვიუს დროსაც. კურიკულუმის შექმნისას პედაგოგები თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ საკუთარ და ერთმანეთის გამოცდილებას, განსხვავებულ ხედვებს და პრიორიტეტებს, აზრთა გაზიარება და ინტერესებსა და შეხედულებებზე მსჯელობა მიმდინარეობს კათედრებზე, მშობელთა კრებებზე. გამოიკვეთა მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შექმნის პროცესში, რაც ძალიან მნიშვნელოვანი. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“ იზიარებს სკოლაში შექმნილი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს. სკოლის კურიკულუმში მაქსიმალურად არის გათვალისწლინებული, მოსწავლეთა შესაძლებლობები და პრიორიტეტები, ინტერესები, შეხედულებები. დაწყებითი საფეხურის კლასების მასწავლებლები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და დანერგონ სასწავლო პროცესში. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის საინტერესო თემატური კონტექსტები და გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, შედეგად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები; შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, შინაგანი მოტივაციის გაზრდას და სწავლის სტრატეგიების დაუფლებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პოზიტიური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა განწყობას, პიროვნულ თავისებურებებს და ინტერესებს, ითვალისწინებენ მათგან მოწვდილ უკუკავშირს; მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავებაში გათვალისწინებულია მათ მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, გამოცდილება, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც თავისთავად ხელს უწყობს კურიკულუმის განავითარებას.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები კათედრასთან თანამშრომლობით ქმნიან და ანვითარებენ საკუთარ კურიკულუმებს. როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, კურიკულუმზე მუშაობის პროცესში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოება, თანამონაწილეობისა და თანამშრომლობის პრინციპით იგეგმება მიზნობრივი აქტივობები. სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დაწყებითების კათედრა 2023-2024 სასწალო წლის კურიკულუმში მაქსიმალურად გაითვალისწინებს მშობელთა და მოსწავლეთა შეხედულებებს და განახორციელებს არსებული არსებული ვერსიის მოდიფიცირებას მათი საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით. პედაგოგებთან შეხვედრის გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებას და დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. კურიკულუმი იგეგმება თემების მიხედვით, რომლებიც წარმოადგენენ სამიზნე ცნებების/ სწავლის შედეგების გააზრების კონტექსტს, ითვალისწინებს მოსწვალის ინტერესებს, მის გამოციდლებას და წინარე ცოდნას, რაც კურიკულუმს აახლოვებს ცხოვრებისეულ სიტუაციებთან და ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს/აკონკრეტებს დირექციის, კათედრებისა და პედაგოგების როლსა და ფუნქციებს კურიკულუმის შემუშავებაში. კურიკულუმი თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე. კათედრის წევრების აღნიშნავენ, რომ კურიკულუმები გაზიარებულია მასწავლებლებლების, დირექციისა და მთლიანად სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის მეთოდოლოგია გვაცნობს კურიკულუმის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების ინსტრუმენტებს, ესენია: ბეჭვდითი მასალები, სკოლის სოციალური სივრცე, ელექტრონული ფოსტა. მშობლებთან კურიკულუმის გაზიარების გზად სკოლას გამოყენებული აქვს მათი პირადი ვერბალური ინფორმირება, ბარათები მშობელთათვის. ,,სკოლის სასკოლო--სასწავლო გეგმაში გაწერილი კურიკულუმების შეთანხმება ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოსთან და ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;
- I-VI კლასების კურიკულუმების ჩარჩო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

სკოლის მიერ დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში წარმოჩენილია სასწავლო დაწესებულების ავტორიზაციის პირველი ეტაპისთვის სავალდებულო კომპონენტები: სასწავლო თემა, ძირითადი კონტექსტმაგალითები, რესურსები. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია მოსწავლეთა უნარებსა და შესაძლებლობებზე. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალების შესრულება მოსწავლეს რთავს აქტიური სწავლის პროცესში, აქცევს მას სასწავლო პროცესის სუბიექტად. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და მრავალფეროვანი პროდუქტით (პრეზენტაციით, პოსტერებით, ბუკლეტებით) საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალაბა. კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გგემის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახთ). სასწავლო პროცესი მოიაზრება, როგორც მოსწავლის განვითარების გზა, საშუალება, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება. ამ ეტაპზე კათედრას შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილი აქვს თითო კომპლექსური დავალება, შესაბამის სასწავლო შინაარსთან და თემატურ ერთეულებთან ერთად, და ითვალისწინებს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, წინარე ცოდნას და საჭიროებებს. თუმცა, მომავალი სასწავლო წლიდან კათედრა გეგმავს თითო კლასში 2-2 კომპლექსურ დავალების განხორციელებას და როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, მეტ უპირატესობას მიანიჭებენ კომპლექსური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტიპის დავალებებს. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე და ყურადღება ეთმობა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას.**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები)

კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. დაწყებითის კათედრა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელთა საშუალებითაც მოსწავლე საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად და მიზნობრივად იყენებს ახალ ცოდნას, უნარებსა და ღირებულებებს. კურიკულუმში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა საკითხი, საფეხურის შედეგები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, კომპლექსური დავალების იდეები და კონტექსტმაგალითები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კომპლექსურ დავალებების განხორციელების გამოცდილება. მასწავლებლებს აღქმული აქვთ გლობალური ფუნციური უნარების (6 უნარი) როლი, რომელთა გააქტიურება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში ხდება. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით. გამოკვეთილია სამიზნე ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების იერარქია. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს, თუ რა შედეგების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს სწავლა-სწავლების პროცესი. შესაბამისად, სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები აღიქმება გრძელვადიან მიზნებად; ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესი მოიცავს ისეთ აქტივობებს, მაგალითდ წყვილებში ან ჯგუფებში მუშაობა, პროექტები, კომპლექსური დავალებები, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ჩაერთონ კომუნიკაციაში, იაზროვნონ კრიტიკულად, პროდუქტის შექმნისას/ პრობლემის გადაჭრისას გამოიჩინონ შემოქმედებითობა, გამოავლინონ თანამშრომლობის, პრობლემის გადაჭრის უნარები, გუნდურობა, შეძლონ რეფლექსიის გაკეთება და მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს მისი ხასიათის და პიროვნების ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები. ყველა თემაში განსაზღვრულია ბუნებიმეტყველების სამიზნე ცნებების დამუშავება, რაც ერთობლივად ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნების განხორციელებას. ასეთი დავალებების განხორციელების ეტაპზე აუცილებელია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების დამუშავება საგნობრივი საკითხების დამუშავების ფარგლებში. სკოლას ბუნებისმეტყველების დაწყებითი საფეხურის ყველა კლასისთვის აქვს წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ხოლო წარმოდგენილ კურიკულუმებში იკითხება საგნობრივი საკითხები და ქვესაკითხები, რაც ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიანი მიზნების შინაარსობლივი ნაწილია. კათედრის წევრების მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განხორციელებული სადემონსტრაციო ექსპერიმენტები (ვულკანის მოდელი, მზის სისტემის მოდელი, ადამიანის სხეულის ნაწილების აწყობა, ყინულის ფიგურები და სხვ.) და პროექტები დასტურია იმისა, რომ სკოლა ბუნებისმეტყველების დაწყებითი საფეხურზე მოსწავლეებს უვითარებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნება. თუმცა რჩევის სახით მივაწოდე კათედრის წევრებს, სასურველი იქნებოდა მოსწავლეებს ასეთი ექსპერიმენტების და დაკვირვებების დროს ეწარმოებინათ ცდის ოქმები და დაკვირვების დღიურები, რაც მათთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია თვითშეფასებისათვის. სკოლის ბუნებისმეტყველების დაწყებით საფეხურხზე აკმაყოფილებს სტანდარტით გათვალისწინებულ ამ ინდიკატორს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

კათედრას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ნიმუშები. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ემსახურება, როგორც მოსწავლეთა შედეგების შეფასებას, აგრეთვე სწავლის პროცესის შეფასებას და მის გაუმჯობესებას. რეკომენდაციის საფუძველზე კათედრა გეგმავს, ახალი სასწავლო წლიდან შეფასების რუბრიკების მოდიფიცირება-განახლებას და შესაბამისა, შეფასება განხორციელდება მკაფიო, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან/თვითშეფასების კითხვარიდან და აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გასაუბრებისას გამოიკვეთა, სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. მაგალითად, კათედრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, სასწავლო ნაწილის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ანალიზი და ანგარიში, ამ ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი წარმატებული პრაქტიკის მაგალითების გამოკვეთა, გასაუმჯობესებელი სფეროების განსაზღვრა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლეთა შეფასებები, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, განხორციელებული აქტივობებისა და გამოყენებული რესურსების ეფექტურობის ანალიზი, მასწავლებელთა რეფლექსიები და სხვ. რაც შესაბამისად ხდება ახალი სასკოლო კურიკულუმის განვითარების საფუძველი.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოსწავლის შეფასების ფორმა დაწყებით საფეხურზე;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შეფასება:
- *○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1**. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

კურიკულუმის შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ სასწავლო თემები შერჩეულია მოსწავლის ცხოვრებისეული კონტექსტების გათვალისწინებით, რაც ერთ-ერთი სტრატეგიაა ბავშვის გააქტიურებისა და სასწავლო მოტივაციის გაზრდისთვის. კათედრის მხრიდან წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის ჩარჩო იმგვარადაა შემუშავებული, რომ შესაძლებლობას იძლევა აღძრას მოსწავლის შინაგანი მოტივაცია. შერჩეული კომპლექსური დავალებები და მისი განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსები ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში. პოზიტიური საკლასო კლიმატი კი იძლევა საშუალებას დაგეგმილი კურიკულუმების რეალიზება მოხდეს ისე, რომ მოსწავლე იყოს ცენტრალური სუბიექტი და შეძლოს გადმოსცეს, თავისი სიტყვებით ახსნას იდეები და გაეცნოს ახალ ინფორმაციას. რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში აქტიური შემოქმედებითი უნარების განვითარებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები. ტექსტებიც შერჩეულია ისე, რომ დაწყებითი კლასის მოსწავლემ შეძლოს წაკითხულის პირად გამოცდილებაში გადატანა. მასწავლებლები გეგმავენ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ კომპლექსური ტიპის დავალებებით, რაც ცოდნის კონსტრუირების ეფექტიანი საშუალებაა. საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებას, რაც წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას. მოსწავლეები ინფორმაციის დამუშავებას და ცოდნად გარდაქმნას წინარე ცოდნის საშუალებით ახორციელებენ, რაც განაპირობებს შინაგანი ძალების გააქტიურებას. კომპლექსური დავალებები ისეა შედგენილი, რომ მოსწავლებს შეუძლიათ ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირება და დამუშავება. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას უწევთ მათთვის ნაცნობი პრობლემის გადაჭრა, არსებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება, იდეების გენერირება და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგზე. მოსწავლე აანალიზებს შესრულებულ დავალებას, მსჯელობს, რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ და გამოცდილებამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. წარმოდგენილი კურიკულუმებიდან შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება მოსწავლის სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალების ფარგლებში მოსწავლის მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლის თვითრეფლექსიის რუბრიკები, თანატოლთა შეფასება რასაც ახალი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ითვალისწინებს კიდევ მეტად გააქტიურებს და გააჯანსაღებს ამ პროცესებს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
კათედრას მის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში და საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს; მაგალითად, იქ სადაც შუალედურ მიზნებად მოიაზრება კომპლექსური დავალებები, კურიკულუმებში იერარქიულად გაწერილია, როგორ მიემართება ქვესაკითხები სამიზნე ცნებებისკენ, რომლის პრაქტიკულად განხორციელება გულისხმობს სწორედ ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობას. მაგალითად, ფაქტობრივი ცოდნის ათვისების შემდეგ (ლექსიკა, გრამატიკა) ხდება ამ ცოდნის სხვადასხვა სავარჯიშოებში გააქტიურება (მითითებულია რესურსები, სავარჯიშოები) და შემდგომ უკვე ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენება (კომპლექსური დავალებები), რაც საკითხის სიღრმისეულ გააზრებას და დასწავლას უწყობს ხელს .**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ პროექტული სწავლებისათვის აუცილებელია ცოდნათა ურთიერთდაკავშირება და კონტრუირება. კურიკულუმზე და კომპლექსური დავალებების ბარათებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლე ახდენს ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ინტერვიუების დროს დაზუსტდა, რომ სასწავლო პროცესის აგება ხდება ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაც ასახულია კომპლექსური დავალებების აქტივობებში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- კომპლექსური დავალების მატრიცა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. კერძოდ, დაწყებით საფეხურზე სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების დაუფლებისაკენ მიმართულ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გაგებასა და გააზრებაში. მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი, რომელიც ფასდება კრიტერიუმებით. ამ ეტაპზე საგნობრივ კურიკულუმში ასახულ ყველა კომპლექსურ დავალებას არ ახლავს პირობა, თუმცა წარმოდგენილია ნიმუშები. მასწავლებლებს მიეცათ რჩევა, თითოეულ დავალებას დაურთონ პირობები კრიტერიუმებით. დაწყებითის კათედრა გეგმავს მომავალი სასწავლო წლის დაწყებამდე კურიკულუმის შევსებას ახალი კომპლექსური დავალებებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

საგნობრივ კურიკულუმში შესასწავლი თემებთან მიმართებაში გაწერილია ისეთი კომპლექსური დავალებების იდეა, რომლებიც ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კავშირშია ყოფით ცხოვრებასთან და მოსწავლე მარტივად შეძლებს მიღებული ცოდნის ტრანსფერს. ინტერვიუს შედეგად შეიძლება თქვა, რომ საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას; მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლის პიროვნული და ფსიქო-სოციალური განვითარების შესახებ და გამოკვეთეს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რომ სასწავლო პროცესი მოსწავლის ამ კუთხით განვითარებასაც უწყობდეს ხელს. დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესი მიმართულია მოსწავლის ფიზიკური,

გონებრივი, პიროვნული ზრდის, კოგნიტური და ფსიქო-სოციალური განვითარებისაკენ, რაც გულისხმობს მის თვითრეგულირებას, სოციალურ ცნობიერებას, ურთიერთობის უნარებსა და პასუხისმგებლობას გადაწყვეტილებების მიღების დროს. ამ მიმართულებით სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ისეთ სასწავლო პროცესს, რომელიც მას ეხმარება პიროვნულ ზრდასა და განვითარებაში. (საინტერესო კომპლექსური დავალებების, პროექტების განხორციელებით, არაფორმალურ აქტივობებში ჩართვით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე

შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სასკოლო საზოგადოების მიერ გააზრებულია, რომ თითოეული მოსწავლე არის დამოუკიდებელი ინდივიდი და თავად არის საკთარი ცოდნის კონსტრუქტორი. მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან, რათა ხელი შეუწყონ მოსწავლეს თავისი უნარების განვითარებაში. მოსწავლე ფასდება მის შესაძლებლობებზე დაყრდნობით. დაწყებით საფეხურზე სკოლას აქვს მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის გამოყენების გმაოცდილება, რომელიც წარმოაჩენს სამიზნე ცნების ფლობის დონეს, სამიზნე ცნებასთან დაკავშირებული საკითხის/საკითხების გააზრების ხარისხს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

პირისპირ გასაუბრების დროს იკვეთება, რომ მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეთა შეფასებას, როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი ფორმით. ამას საფუძვლად უდევს დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზები, მოსწავლეთა დავალებები. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, კრიტერიუმების და ანალიზის მიხედვით. ასევე წარმოდგენილია პრეზენტაციის შეფასების რუბრიკებიც, თუმცა სასურველი იქნებოდა ექსპერიმენტის და კვლევის შეფასების რუბრიკების შემუშავებაც, რაც რჩვების სახით მიიღეს პედაგოგებმა.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. სკოლამ ვერც ვიზიტის დროს შეძლო აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა, რადგან არ ჰქონდა შეფასების ერთიანი სისტემა. ვიზიტის პროცესში</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია, შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი, რომლის მიხედვითაც შეფასების ვერიფიკაცია მოხდება სამი მიმართულებით: მოსწავლის შეფასებისას გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია, მტკიცებულებების ვერიფიკაცია. სკოლის დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, პედაგოგებს აქვთ შეფასების ინსტრუმენტების გაანალიზების/ შეცვლის გამოცდილება. პედაგოგებთან ინტერვიუთი დაზუსტდა, რომ სწავლების პროცესში ითვალისწინებენ მიცემული დავალებების, შემაჯამებელი წერების/ტესტების, შეფასების რუბრიკების შესაბამისობას მიცემული დავალების მიზნებსა და მისაღწევ შედეგებთან. შეფასების სისტემის განვითარების მიზნით, სკოლა გეგმავს შეიმუშაოს შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის სისტემა, რომელიც სკოლას მისცემს მოსწავლის მიღწევების ანალიზის საშუალებას. არგუმენტირებული პოზიციით სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრავს რომ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდება (18.10.23მდე) აღნიშნულის **გათვალისწინებით ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

კათედრა დაწყებით საფეხურზე იყენებს განმავითარებელ შეფასებას, ხოლო მე-5კლასის მეორე სემესტრიდან როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას; განმავითარებელი შეფასება ძირითადად ხორციელდება სიტყვიერად, კომენტარების სახით; განმსაზღვრელი შეფასებისთვის კი გამოიყენება შეფასების სამკომპონენტიანი მოდელი (საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებები); კათედრაზე ხდება შესრულებული წერითი თუ ზეპირი საკლასო-საშინაო დავალებების, კომპლექსური დავალებების/საბოლოო პროდუქტების, პრეზენტაციების, შემაჯამებელი სამუშაოების და მათი შეფასებების, როგორც მტკიცებულებების, აღრიცხვა და შენახვა.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმები;
- შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, სადაც სასწავლო პროცესი გაწერილია თემატურად, და ამასთანავე ჩანს მზაობა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას კომპლექსური დავალებები მოიაზრებოდეს შუალედურ მიზნებად, რაც თავისთავად უწყობს ხელს მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას, გვაძლებს იმის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ამ უნარების გააქტიურებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (პასუხისმგებლობა/ეთიკა) ხასიათი/ნება); ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას ასევე უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი სკოლის მისია და ხედვა, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე, კათედრის მუშაობის პრინციპები, მაგალითად, დიფერენცირებული სწავლების მიდგომები. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის შექმნილია უპირობოდ პოზიტიური გარემო, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ფუნქციურ-კომპეტენტურ უნარების განვითარებაზე. სასწავლო პროცესის ეფექტიანობისთვის სკოლაში სასკოლო საზოგადოებისთვის შექმნილია თანამშრომლობითი, პოზიტიური კლიმატი. 2023-2024 სასწავლო წლიდან იგეგმება მშობელთა მეტი ჩართულობა და სასწავლო აღმზრდელობით პროცესში, მშობელთა მონაწილეობით ღონისძიებების დაგეგმვა და საერთოდ მონაწილეობა სკოლის განვითარებაში და ერთობლივი ზრუნვა მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე ზრუნვა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემოა.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლაში ვიზიტის დროს გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები ხშირად ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს, ერთობლივად მსჯელობენ რა და როგორ უნდა შეფასედეს, წახალისებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. კათედრის წევრები ზრუნავენ თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობით, მათთან საუბრით, მათთვის არჩევანის მიცემის საშუალებით, საინტერესო იდეების წახალისებით, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში.
შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

კათედრის წაევრებს გაცნობიერებული აქვთ, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან/გაერთიანებებთან/მშობლებთან ინტენსიური და კოორდინირებული მუშაობა მათი მოვალეობაა. თანამშრომლობის ეფექტურობას ხელს უწყობს მათი მზაობა0განწყობა, პროფესიული გამოცდილება, პოზიტიური დამოკიდებულებები, თანამშრომლობითი ფორმების (ონლაინ, ფიზიკური, მშობელთა კრებები, კათედრის სხდომები) არჩევის საშუალება. სკოლაში კათედრალური მუშაობის დროს ყოველთვის ხდებოდა წევრთა გამოცდილების გაზიარება, წარმატებების განსაზღვრა, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამ კონკრეტული სკოლის შემთხვევაში მოხდა რამოდენიმე საგნის მასწავლებლისა და სპორტის მასწავლებლების ჩართულობით საგანთა ინტეგრირება. რამაც გუნდურობა, თანამშრომლობის პროცესი მეტად ეფექტური გახადა.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4**. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავს გრძნობს ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხოდ. აღიარება/პატივისცემია, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა უზრუნველყოფს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების პორტფოლიოები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კათედრის ოქმები;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია, თუ როგორ განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა უნდა ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას. სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი და საგნობრივი კათედრები, რომლებიც ახორციელებენ მონიტორინგს დირექციასთან ერთად. მონაცემების მიზნობრიობა, მათი შეგროვება და ვადების განსაზღვრა ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ (რა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში (რესურსი 12) აღნიშნულია, რომ ამ ეტაპზე სკოლაში არსებობს სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარების გამოცდილება. ხოლო ახალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად შემოთავაზებული 4 ინსტრუმენტიდან შერჩეულია პირველი ინსტრუმენტი. 2023-2024 სასწავლო წელს დიაგნოსტიკური წერა ჩატარდება ორჯერ. (სემესტრში თითო დიაგნოსტიკური წერა).**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრის წევრებს აქვთ სწორი ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა უნდა ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და არა დასჯას, რაც თავისთავად ქმნის წინაპირობას მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის და ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის თანამშრომლობრივი კულტურა, რაც კურიკულუმებზე ერთობლივი მუშაობით გამოიხატა. სპორტის მასწავლებლები არა მარტო კურკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, ასევე გრძელდება თანამშრომლობა მისი განხორციელების დროსაც. რასაც ერთობლივად ჩატარებული გაკვეთილებიც ადასტურებს როცა ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე ხდება პარალელური კლასების გაკვეთილების ერთობლივად ჩატარება. მსგავსი ტიპის გამოცდილების შედეგებიდან მოხდა კურიკულუმები შემუშავება.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახულია კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ერთობლივად ეძებენ გადაჭრის გზებს. როგორც სკოლაში ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, კათედრა აცნობიერებს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა (მაგალითად, მოსწავლეთა დიაგნოსტირების შედეგების ანალიზი, კოლეგების გაკვეთილებზე დასწრება და უკუკავშირი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და ურთიერთდაკვირვების შედეგები და ანალიზი) გამოყენებული უნდა იქნეს სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. .**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები;
- სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიით

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

საგნობრივ კათედრებს მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ნიმუშები, მათ შორის, საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები; შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების პირველი ინსტრუმენტი, რომელიც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის მონიტორინგის, შეფასების, ტიპური პრობლემების გამოკვეთისა და ანალიზის საშუალებას იძლევა; შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა, მოსწავლეთა თვითშეფასება, თანატოლთა ურთიერთშეფასება და უკუკავშირი; მშობლებთან და კლასში შემსვლელ სხვა მასწავლებლებთან, კლასის დამრიგებელთან გასაუბრება. პედაგოგებთან ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება როგორც სიტყვიერი კომენტარებით, ასევე განმავითარებელი შეფასებით თემების მიხედვით, რომელის მიხედვით განისაზღვრება მოსწავლეთა შეგეგების ანალიზი. თუმცა იმისთვის, რო მოსწავლეთა შეფასება ერთიანი და სისტემური იყოს აუცილებელია მონაცემების შეფასება მრავალფეროვანი მეთოდებით სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. აუცილებელია სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიერ შემუშავებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში განსაზღვროს რა საშუალებებით განხორციელდება სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რა წყაროების საშუალებით ხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, რასაც მომავალი სასწავლი წლიდან გეგმავენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის და კათედრასთან გასაუბრების საფუძველზე იკვეთება, რომ მასწავლებლებს სწორად აქვთ გააზრებული, თუ რას გულისხმობს სასწავლო პროცესის შეფასების ჰოლისტური ხასიათი და რატომაა მნიშვნელოვანი, რომ შეფასება ეყრდნობოდეს მრავალფეროვან წყაროებს. მაგალითად, მოსწავლის სწვალის პროგრესის, მისი საჭიროებების სრულფასოვნად შეფასებისას მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოპოვებული იყოს ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რაც მოსწვალის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. ეს შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკეტული გაკვეთილი და ა.შ. სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შეფასებისას სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს. კათედრა ანხორციელებს შემაჯამებელი დავალებების ანალიზს. ასევე, გამოიყენება შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი; კვლევა, გამოკითხვა, ფოკუს-ჯგუფი, დაკვირვება, ინტერვიუ. გამოკითხვის შედეგად დაადგინა სკოლამ პრიორიტეტული თემა სასკოლო პროექტების განსახორციელებლად. სკოლაში შეფასების პროცესში მონაცემთა შეგროვებისთვის გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ტესტირება, შემაჯამებელი დავალებები, გამოკითხვა, მშობლებთან და კოლეგებთნ გასაუბრებები, ანკეტირება, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, მონაცემთა ანალიზი, თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვება, რომლის დროსაც, შეფასების მიზნიდან გამომდინარე, იკვეთება ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა, მაგალითად, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესში იდენტიფიცირებული ტიპური პრობლემები, პროექტის განხორციელბისათვის შესარჩევი პრიორიტეტული თემები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია თემატური ერთეულების და რიგ შემთხვევაში ამ თუ იმ თემის ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური ტიპის დავალებებით, რომელთა განხორციელება გულისხმობს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების გააზრებასა და ათვისებას, არამედ მთლიანი პროცესის შეფასებას, რომლის დროსაც ხდება დაკვირვება როგორც მოსწავლის აკადემიურ უნარებზე, აგრეთვე მის ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებზე, ფსიქო-ემოციურ განწყობაზე და იმ მოქმედ ფაქტორებზე, რაც ზეგავლენას ახდენს მოსწავლის მთლიან პერფორმანსზე და შედეგებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- შემაჯამელი დავალებების ანალიზი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კათედრა აცნობიერებს, რომ „დაწერილ“ და „განხორციელებულ“ კურიკულუმს შორის არსებობს განსხვავება და შესაძლოა, სასწავლო პროცესი არ/ვერ წარიმართოს დაგეგმილის შესაბამისად; ან არ ჰქონდეს ის ეფექტი, რომლის მოლოდინიც სასკოლო საზოგადოებას აქვს. თვითსეფასების კითხვარის საფუძველზე, სკოლა/კათედრა გამოხატავს მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს მოხდება კურიკულუმების ხელახალი გადახედვა, გადასინჯვა, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში სათანადო ცვლილებების შეტანა. სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმიდან გამომდინარე კურიკულუმის განვითარებას მუდიმავად ახდენენ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. თუმცა ამ მხრივ მნიშვნელოვანია სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის გამოყენება, რის საფუძველზეც მოხდეს კურკულუმში ცვლილებების შეტანა მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე მიმდინარე წლის კურკულუმიდან გამომდინარე გამოკვეთილი საჭიროებები აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ახალი სასწავლო წლის ფარგლებში კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რაზეც მზაობა დაადასტურეს პედაგოგებმა

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (რესურსი 12), უცხოურ ენაში გასულ სასწავლო წლისგან განსხვავებით, კათედრა გეგმავს 2023 წლის სექტემბრამდე (ანუ ახალი სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე) პერიოდში, თითოეულ კლასში განსახორციელებელი 2 კომპლექსური დავალების შექმნას (სემესტრში თითო კომპლექსური დავალება) და მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში მათ შეტანას. მასწავლებლებთნ საუბრისას გამოიკვეთა, რომ ცვლილებას საფუძვლად უდევს განვლილი სასწავლო წლის გამოცდილება და რეფლექსია. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- .კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.
- სასკოლო კურიკულუმით;
- საგნობრივი კურიკულუმით;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ეყრდნობა აღნიშნულ დოკუმენტს. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც მოიაზრებს თითოეული საგნის პედაგოგის მიერ კონკრეტული კლასის მოსწავლეების შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინტერესების, მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას. კურიკულუმების შემუშავების პროცესში მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შეხედულებას, აანალიზებენ სასწავლო პროცესის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ამის საფუძველზე გეგმავენ კურიკულუმის ჩარჩოს.საშუალებითაც სკოლა ცდილობს შექმნას ისეთი ფორმით სადაც მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები იქნება გათვალისწინებული, ამასთან მასში სასკოლო საზოგადოებაც ჩაერთვება რომელიც გამოხატავს თავიანთ მოსაზრებას არგუმენტირებულად და ერთობლივი მსჯელობის შედეგად იქნება დასკვნა გამოტანილი და ასახული სასკოლო კურიკულუმში .**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის საინტერესო თემატური კონტექსტები და გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, შედეგად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები; სკოლა ქმნის ისეთ სისტემას რომელიც გულისხმობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას კურიკულუმის შემუშავებაში, მათ შორის კათედრის წევრები მიიღებენ საგნობრივი საკითხების მოსწავლეთა საჭიროებაზე მოგრგებულ გადაწყვეტილებებს და სკოლის დირექციაც გამოთქვამს თავის მოსაზრებებს რათა მოხდეს უფრო ეფექტურად სწავლა-სწავლები პროცესების დაორგანიზება, გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე გასასვლელად. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია მოსწავლისთვის საინტერესო თემატური კონტექსტები და გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, შედეგად, გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები; შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, შინაგანი მოტივაციის გაზრდას და სწავლის სტრატეგიების დაუფლებას. ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პოზიტიური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა განწყობას, პიროვნულ თავისებურებებს და ინტერესებს, ითვალისწინებენ მათგან მოწვდილ უკუკავშირს; მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავებაში გათვალისწინებულია მათ მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, გამოცდილება, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც თავისთავად ხელს უწყობს კურიკულუმის განავითარებას. როგორც თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავენ, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით ისგ ჯგუფის მუშაობაში აქტიურად არის ჩართული მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი შემუშავებულია კათედტრაზე მათემატიკის მასწავლებლების აქტიური ჩართულობით, ასევე სხვა დაინტერესებული და უფლებამოსილი პირის ჩართულობით, უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა მზაობა, დამოკიდებულებები და აკადემიური მიღწევები გათვალისწიმებული იქნება, რათა მოხდეს თანხმობის დოკუმენტის მიღება რომელიც ასახავს კლასის ინდივიდუალურ საჭიროებას და დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. საბაზო საფეხურზე თითოეული მასწავლებელი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ქმნის და ავითარებს საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, დავალებები, რესურსები, რომლის საშუალებითაც აჩვენებს მოსწავლის განვითარების გზას ესგ-ის შედეგების და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. კურიკულუმის განვითარებისა და დანერგვის პროცესში აქტიურადაა ჩართული სკოლის დირექცია, რომელიც მონიტორინგს უწევს კათედრების მუშაობას. მათი ფასილიტაციით ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და ის წარმოადგენს სასკოლო საწავლო გეგმის ნაწილს, უნდა აღინიშნოს, რომ შემუშავებაში ჩართულობის კუთხით მზაობა ასევე წინა პირობაა იმისა, რომ სკოლა უზრუნველყობს მის გავრცელებას სხვადასხვა ფორმით, როგორიც არის ღრუბლოვანი საცავებით და სხვა ასევე გასაუბრებაზე აღინიშნა რომ ამ კუთხით საუბრები მიმდინარეობს მშობელთა კრებებზე. სასკოლო კურიკულუმი ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის.: მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები და ა.შ. ამისათვის სკოლა იყენებს ონფორმაციის გაზიარების მისთვის რელევანტური საშუალებებს. მაგალითად, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შესახებ სკოლა მშობლებს აწვდის ინფორმაციას სოციალური ქსელების და კლასის დამრიგებლების მიერ მოწვეულ მშობელთა კრებებზე, რაც ხელს უწყობს სასკოლო კურიკულუმის მიმართ სასკოლო საზოგადოების მიკუთვნებულობის განცდის ჩამოყალიბებას. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები დასტურდება პედაგოგიური საბჭოს ოქმით.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმები

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმები შედგენილია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით. დაფარულია ყველა თემა შესაბამისი ქვესაკითხებით. კომპლექსური დავალებები შერჩეულია მოსწავლის ასაკის შესაბამისად. რაც დაეხმარება მასწავლებელს ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. იგეგმება ყველა კლასის კურიკულუმის ხელახლა გადახედვა და დახვეწა. მოწოდებული კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს იმ თემების ჩამონათვალს, რომელიც სკოლამ დაგეგმა 20023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად იქნას აგებული. სადაც იკითხება სამივე გრძელვადიან მიზნებზე გამყვანი სამიზნე ცნებები, როგორიც არის: მათემატიკური მოდელი, კან ონზომიერება, ლოგიკა, ასევე შუალებური სასწავლო მიზნები, კონტექსტ მაგალითის-კომპლექსური იდეის სახით, ეს ყოველივე ემსახურება კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებულის სასწავლო პროცესის აგებას რაც თავისთავად პროცესების მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას ემსახურება.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გგემის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახთ). კათედრებზე შემუშავებული საბაზო საფეხურის კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იძლევა, სამიზნე ცნებები აზუსტებს საგნის გრძელვადიან მიზნებს და გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რომელიც მოსწავლის მიერ საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. მოსწავლეები შესასწავლი თემებიდან, ქვეცნებებიდან შეიძენენ საგნობრივ ცოდნას , კომპლექსურ/შემაჯამებელ დავალებებში მოხდება შესწავლილი ცოდნის წარმოჩენა, რაც თავისთავად მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას და გააქტიურებას უწყობს ხელს**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუს დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ათვლის წერტილი არის მოსწავლე და არა საგანი, კლასი, სახელმძღვანელო ან სხვა მსგავსი ორიენტირები; შესაბამისად, სასწავლო პროცესში კათედრის მუშაობა ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რომლის დროსაც მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესის სფეროს და სწავლის უნარებს. მაგალითად, ხდება მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო მიზნების განსაზღვრა, სასწავლო პროცესის, შინაარსის, საბოლოო პროდუქტის ფორმის დიფერენცირება, შესაბამისი ეფექტური რესურსების შერჩევა; განსახორციელებელი აქტივობების, დასასწავლი მასალის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება და ადაპტირება. მასწავლებლებს აქვთ სწორი დამოკიდებულება და ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელი ინსტრუმენტი არის კომპლექსური ტიპის დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს (იგულისხმება არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლე, თუ დავალების ადაპტირებას საჭიროებს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

კათედრას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების რამდენიმე ნიმუში. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ემსახურება როგორც მოსწავლეთა შედეგების შეფასებას, აგრეთვე სწავლის პროცესის შეფასებას და მის გაუმჯობესებას; რეკომენდაციის საფუძველზე კათედრა გეგმავს, ახალი სასწავლო წლიდან შეფასების რუბრიკების მოდიფიცირება-განახლებას და შესაბამისად, შეფასება განხორციელდება მკაფიო, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ვიზიტის შემდგომ 2 სამუშაო დღის ვადაში კათედრამ ინგლისურ ენაში, მე-9 კლასში ერთერთ კომპლექსურ დავალებაზე (ძირითადი საკითხი: პრეზენტაცია თემაზე ,,სათავგადასავლო-შემეცნებითი ტური'') შექმნა და წარმოადგინა 1 განმსაზღვრელი და 1 განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მკაფიოდ ორიენტირებულია სტანდარტის შედეგების მიღწევის ზოგად ინდიკატორებზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან/თვითშეფასების კითხვარიდან და აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გასაუბრებისას გამოიკვეთა, სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. მაგალითად, კათედრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, სასწავლო ნაწილის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ანალიზი და ანგარიში, ამ ანალიზის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოკვეთილი წარმატებული პრაქტიკის მაგალითების გამოკვეთა, გასაუმჯობესებელი სფეროების განსაზღვრა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლეთა შეფასებები, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, განხორციელებული აქტივობებისა და გამოყენებული რესურსების ეფექტურობის ანალიზი, მასწავლებელთა რეფლექსიები და სხვ. რაც შესაბამისად ხდება ახალი სასკოლო კურიკულუმის განვითარების საფუძველი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

მოწოდებული კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი საბაზო საფეხურის, აგებულია იმგვარად, რომ თემის ფარგლებში დასამუშავებელი კომპლექსური დავალება მოითხოვს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას სადაც ყურადღება მახვილდება სწავლა კეთებით, რადგან კომპლექსური დავალების შესრულების ბოლოს უნდა შეიქნმას შემოქმედებითი პროდუქტი, სადაც მოსწავლე იქნება ჩრთული ცოდნის აგების და დაორგანიზების კუთხით და მოახდენს კონსტრუქტივისტული პრინციპების საშუალებით, ცოდნის აგებას. კათედრის წევრებს აქვს სწორი ხედვა და დამოკიდებულება იმასთან დაკავშირებით, რომ პოზიტიური სასკოლო გარემო, მოსწავლის ინიციატივების წახალისება, მოსწავლის ავტონომიურობისა და მიკუთვნებულობის განცდა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მოსწვალის შემოქმედებით პოცესებში ჩართულობისათვის. ამის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს მათ მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი დასამუშავებელი თემატური ერთეულები, კომპლექსური დავალებები, შერჩეული რესურსები; როგორც გასაუბრებისას გამოიკვეთა, სწავლა-სწავლების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ისეთი აქტივობების განხორციელებაზე, როგორიცაა სასკოლო-სასწავლო პროექტები, ავთენტური ტიპის დავალებები, სადაც მოსწავლე არის აქტიური შემმეცნებელი, ანუ იგი აიდენტიფიცირებს, განიხილავს და წყვეტს პრობლემებს; ეცნობა ახალ ინფორმაციას, ამუშავებს მას და განიხილავს სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა თვალთახედვით; აქვს საშუალება, გადმოსცეს და საკუთრი სიტყვებით ახსნას იდეები და მიგნებები. **ინდკატორი შესაბამისობაშია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით**

კათედრის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეების ინტერესებზე, საჭიროებებზე და შესაძლებლობებზეა მორგებული, რაც თავისთავად მოსწავლეებისთვის პოზიტიურ კლიმატს ქმნის და მათი სპორტულ აქტივობებში, ფესტივალებში და სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მაღალ ჩართულობას განაპირობებს, რაც ასევე უზრუნველყოფს პოზიტიური თვითეფექტიანობის ჩამოყალიბებას. კათედრის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის საგნობრივი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეს სტანდარტით განსაზღვრული გრძელვადიანი სამიზნე ცნებების გააზრება უწევს მრავალფეროვანი თემების და საკითხების საგნობრივ და ცხოვრებისეული კონტექსტებთან მიმართებით. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მისი კონტექსტ-მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში, შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით.კათედრას წარმოდგენილი აქ შემაჯამებელი რეფლექსია, სადაც ჩანს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სხვადასხვა პროექტებში, ფორმალურ და არაფორმალურ განათლებაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3.**სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე და ინტერვიუზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ სკოლაში სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე; მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ეფექტური სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მეტაკოგნიტური სტრატეგიების გააზრებასა და განვითარებაზე. ამისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლისთვის შეთავაზებული აქტივობები და რესურსები იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მან ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით თავად დაგეგმოს როგორ ააგოს ცოდნა და შემდეგ გაანალიზოს რა გამოუვიდა ეფექტურად და რისი გაკეთება იყო საჭირო სხვანაირად. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

4.**სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული;**ცოდნათა სამი კატეგორიიის აქტუალურ სასწავლო პროცესში გამოყენებაზე ყურადღება მახვილდება, კომპლექსური დავალების იდეაში სადაც მოსწავლემ მსჯელობით უნდა შეძლოს მათემატიკის ფაქტობრივი ცოდნის გამოყენება, შემდგომ ამისა პროცედურული ცოდნის საშუალებით ხელი უნდა შეეწყოს თემის საყოფაცხოვრებო დანიშნულებით გააზრებას და გამოყენების უნარების განვითრებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**
კათედრას მის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში და საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრების / ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების კარგ საშუალებად განიხილავს; კათედრას გაცნობიერებული აქვს, რომ რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ასეთი დავალებების განხორციელება ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. საბაზო საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. გამოკვეთილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები. გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ წარდგენილი დავალება მოსწავლისთვის უცხო არ არის. ის ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე და არა ახალი მასალის დასწავლაზე. კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საშუალებას, რომ სხვადასხვა მოსწავლეს შეიძლება სხვა მოსაზრება და არგუმენტიც კი ჰქონდეთ. ეს კი წინაპირობაა ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნისა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- საგნობრივი კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალების მატრიცა
- კათედრის ოქმები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2.საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3.შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4.შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5.სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6.სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

მოწოდებული კურიკულუმის პროექტში მასწავლებელს გამოყენებული აქვს სამი სამიზნე ცნება, როგორიც არის: მათემატიკური მოდელი, კანონზომიერება, ლოგიკა. ასევე მინიშნებული აქვს იქვე ქვეცნებები რომელიც თემის ფარგლებში დამუშავდება, მკვიდრ წარმოდგენების საშუალებით სასწავლო პროცესის აგება დოკუმენტურად არ დასტურდება თუმცა გასაუბრებაზე გამოითქვა მზაობა იმისა რომ ამ კუთხით მოხდება შეფასების რუბრიკების შექმნა, კომპლექსური დავალების დამუშავება. კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. კურიკულუმში ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე ორივე უცხოურ ენაში (7-9 კლასებში) სასწავლო პროცესი მიემართება და ორიენტირებულია 4 სამიზნე ცნებაზე (ჟანრი, სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები და კულტურათა დიალოგი); კათედრის მხრიდან არის ცალსახა მზაობა, რომ მათ მიერ მკაფიოდ იქნას გააზრებული სწავლა-სწავლების პროცესში კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესუსებს, მასალას), საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის, რასაც უზრუნველყოფს ერთი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხრივ კარაგად დანახული და გაწერილი საგნობრივი კურიკულუმი, შემუშავებული განმავითარებელი/განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, მეორე მხრივ რეალიზებული კომპლექსური დავალებები და რეფლექსია მათზე. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2**. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

უნდა აღინიშნოს რომ სკოლა ზრუნავს შექმნას ისეთი მხარდამჭერი გარემო სადაც თითოეული მოსწავლის პიროვნულ ფსიქოლოგიური განვითარება იქნება მხარდაჭერილი ამისათვის, კოპლექსური დავალების დამუსავების პროცესებს მასწავლებელი განიხილავს არა მარტო საგნობრივი საკითხების შესწავლის საშუალებად არამედ 6 ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების საშუალებათ, სადაც მოსწავლე ეჩვევა სამოქალაქო პასუხისმგებლობას, იაზრებს თავის როლს საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის პროცესში, ასევე ხდება სხვისი განსხვავებული აზროვნების მიმღები. ყოველივე ეს და სხვა ფაქტებიასევე გახდება სასწავლო პროვცესში მთავარი პრობლემის გადაწყეტის საშუალება. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კათედრა აცნობიერებს და ითვალისწინებს, რომ ვინაიდან სწავლა არის მოსწვალის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი, ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ამიტომ, საგნობრივი საკითხების შერჩევისას მასწავლებლები ცდილობენ, რომ ისინი არც ძალიან მარტივი იყოს და არც ძალიან რთული მოსწავლისთვის და მათი შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“). ამის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს საგნობრივ კურიკულმებში წარმოდგენილი თემატური ერთეულები და შინაარსობრივი კონტექსტები, კომპლექსური დავალებები, შერჩეული რესურსები. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

2. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

მოწოდებული შეფასების კრიტერიუმები და გასაუბრებაზეც აღინიშნა, რომ ის არის კათედრაზე განხილული რათა მოხდეს შეფასების სისტემის მიზანთან შესაბამისობაში მოყვანა და შესაბამისი კომენტარის დართვა რათა უფრო მოქნილი და გასაგები ენით იყოს დაწერილი, ამასთან შეფასების რუბრიკები არის გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყობს სამიზნე ცნებების გარშეწმო ფოკუსირებას რაც თავისთავად ვალუდურს ხდის რუბრიკებს, ხოლო ის დაინტერესებული პირებისათვის არის ხელმისაწვდომი. აქედან გამომდინარე კრიტერიუმები არის სანდო ვალიდური და გამჭვირვალე. **შესაბამისობაშია.**

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრას აქვს გაცნობიერებული, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ამიტომ ის კარგად გააზრებულ სისტემურ ხედვას უნდა ეფუძნებოდეს. კათედრას აქვს მზაობა, რომ შექმნას ისეთი შეფასების სისტემა, რომელიც არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, რასაც ადასტურებს მათ მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში გამოკვეთილია შეფასების მიზანი, კრიტერიუმები და ინდიკატორები. სასკოლო კურიკულუმში და კომპლექსური დავალებების პირობებში ნათლად ჩანს, რომ სასწავლო პროცესი მიმართულია სწავლის სწავლაზე, თუმცა პირისპირ ინტერვიუს დროს მასწავლებლებს რჩევის სახით მივაწოდეს, რომ კვლევები, ექსპერიმენტები და ცდების განხორციელებებისას აუცილებელია მოსწავლეებმა აწარმოონ დაკვირვების დღიურები, ცდის ოქმები, კვლევების ანგარიშები, რათა მოსწავლეებმა თავად შეძლონ დასახული პრობლემის ირგვლივ გადასაჭრელი გზები ძიება, რაც ეტაპობრივად დაეხმარება მათ სწორად და მიზნობრივად დაგეგმონ საკუთარი სწავლების პროცესი. ასეთი აქტივობებით მოსწავლეებს განუვითარდებათ თვითმმართვის უნარები და შეძლებენ სიღმისეულად შეისწავლონ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

5.**სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

<u>სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი მოსწავლეთა შეფასების ვერიფიკაციის წესი. სკოლამ ვერც ვიზიტის დროს შეძლო აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა, რადგან არ ჰქონდა შეფასების ერთიანი სისტემა. გასაუბრების პროცესში გამოიკვეთა, რომ სკოლაში დანერგილია მოსწავლის შედეგების, სწავლის პროცესის დინამიკის ანალიზი მოსწავლეთა შეფასებების საშუალებით, რომელზეც პასუხისმგებლობა აღებული აქვს სკოლის დირექციას და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებს. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა. რასაც ადასტურებს წარმოდგენილი კათერდის სხდომის ოქმები. სკოლას აქვს შეფასების სისტემის ცალკეული ელემენტები, რაც გვხვდება, როგორც მოსწავლეთა მიღწევების ანალიზის კომპონენტში, აგრეთვე უკუკავშირის იმგვარ ფორმებში, როგორიცაა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების პროგრესის შესახებ მშობელთა რეგულარული ინფორმირება. ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ სკოლას და კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, რამდენად დიდია შეფასების სისტემის როლი მოსწავლეთა მხარდაჭერის თვალსაზრისით, სკოლა გეგმავს ამ მიმართლებით უფრო სიღრმისეული სამუშაოების წარმოებასკოლამ შეიმუშავოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ერთიანი მექანიზმი და შესაბამისობის გეგმაში ასახონ აღნიშნული სამუშაოს შესრულების ვადა.</u> <u>**არგუმენტირებული პოზიციით სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრავს რომ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდება (18.10.23მდე) აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.**</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

კათედრა საბაზო საფეხურზე იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას; განმავითარებელი შეფასება ძირითადად ხორციელდება სიტყვიერად, კომენტარების სახით; განმსაზღვრელი შეფასებისთვის კი გამოიყენება შეფასების სამკომპონენტიანი მოდელი (საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებები); კათედრაზე ხდება შესრულებული წერითი თუ ზეპირი საკლასო-საშინაო დავალებების, კომპლექსური დავალებების/საბოლოო პროდუქტების, პრეზენტაციების, შემაჯამებელი სამუშაოების და მათი შეფასებების, როგორც მტკიცებულებების, აღრიცხვა და შენახვა. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოირკვა, რომ კათედრა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას კანონმდებლობით დადგენილი წესით. ბუნებრივია, იყენებს ელექტრონულ ჟურნალს, საჭიროების შემთხვევაში ინფრმაციას ასახავს მოსწავლის პირად საქმეში. ასევე, სკოლას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი.

შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- კათედრის ოქმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები, სადაც სასწავლო პროცესი გაწერილია თემატურად, და ამასთანავე ჩანს მზაობა, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას კომპლექსური დავალებები მოიაზრებოდეს შუალედურ მიზნებად, რაც თავისთავად უწყობს ხელს მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას, გვაძლებს იმის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია პოზიტიური გარემო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლის ამ უნარების გააქტიურებას (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა (პასუხისმგებლობა/ეთიკა) ხასიათი/ნება); ღია/მხარდამჭერ და მიმღებლობით გარემოს შექმნას ასევე უზრუნველყოფს სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი სკოლის მისია და ხედვა, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე, კათედრის მუშაობის პრინციპები, მაგალითად, დიფერენცირებული სწავლების მიდგომები. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის შექმნილია უპირობოდ პოზიტიური გარემო, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ფუნქციურ-კომპეტენტურ უნარების განვითარებაზე. სასწავლო პროცესის ეფექტიანობისთვის სკოლაში სასკოლო საზოგადოებისთვის შექმნილია თანამშრომლობითი, პოზიტიური კლიმატი. 2023-2024 სასწავლო წლიდან იგეგმება მშობელთა მეტი ჩართულობა და სასწავლო აღმზრდელობით პროცესში, მშობელთა მონაწილეობით ღონისძიებების დაგეგმვა და საერთოდ მონაწილეობა სკოლის განვითარებაში და ერთობლივი ზრუნვა მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე ზრუნვა. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში მიმღებლობითი და მხარდამჭერი გარემოა.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

სკოლაში ვიზიტის დროს გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები ხშირად ერთობლივად გეგმავენ სასწავლო პროცესს, ერთობლივად მსჯელობენ რა და როგორ უნდა შეფასედეს, წახალისებულია თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. კათედრის წევრები ზრუნავენ თანასწორობის პრინციპებზე აგებულ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე მოსწავლეებთან თანამშრომლობით, მათთან საუბრით, მათთვის არჩევანის მიცემის საშუალებით, საინტერესო იდეების წახალისებით, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში. **შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

კათედრის წაევრებს გაცნობიერებული აქვთ, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, სხვა საგნობრივ კათედრებთან/გაერთიანებებთან/მშობლებთან ინტენსიური და კოორდინირებული მუშაობა მათი მოვალეობაა. თანამშრომლობის ეფექტურობას ხელს უწყობს მათი მზაობა0განწყობა, პროფესიული გამოცდილება, პოზიტიური დამოკიდებულებები, თანამშრომლობითი ფორმების (ონლაინ, ფიზიკური, მშობელთა კრებები, კათედრის სხდომები) არჩევის საშუალება. სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრალური მუშაობის დროს ყოველთვის ხდებოდა წევრთა გამოცდილების გაზიარება, წარმატებების განსაზღვრა, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამ კონკრეტული სკოლის შემთხვევაში მოხდა რამოდენიმე საგნის მასწავლებლისა და სპორტის მასწავლებლების ჩართულობით საგანთა ინტეგრირება. რამაც გუნდურობა, თანამშრომლობის პროცესი მეტად ეფექტური გახადა. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. **უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.**

სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი თავს გრძნობს ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხოდ. აღიარება/პატივისცემია, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა უზრუნველყოფს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კათედრების პორტფოლიოები.
- კათედრის ოქმები;
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

1.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია, თუ როგორ განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა უნდა ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას. სკოლაში შექმნილია ხარისხის მართვის ჯგუფი და საგნობრივი კათედრები, რომლებიც ახორციელებენ მონიტორინგს დირექციასთან ერთად. მონაცემების მიზნობრიობა, მათი შეგროვება და ვადების განსაზღვრა ეხმარება სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებას. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში (რესურსი 12) აღნიშნულია, რომ ამ ეტაპზე სკოლაში არსებობს სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარების გამოცდილება. ხოლო ახალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად შემოთავაზებული 4 ინსტრუმენტიდან შერჩეულია პირველი ინსტრუმენტი. 2023-2024 სასწავლო წელს დიაგნოსტიკური წერა ჩატარდება ორჯერ. (სემესტრში თითო დიაგნოსტიკური წერა).**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრის წევრებს აქვთ სწორი ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა უნდა ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და არა დასჯას, რაც თავისთავად ქმნის წინაპირობას მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის და ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე გამოიკვეთა, რომ კათედრაზე არის თანამშრომლობრივი კულტურა, რაც კურიკულუმებზე ერთობლივი მუშაობით გამოიხატა. სპორტის მასწავლებლები არა მარტო კურკულუმის შექმნის პროცესში თანამშროლობენ, ასევე გრძელდება თანამშრომლობა მისი განხორციელების დროსაც. რასაც ერთობლივად ჩატარებული გაკვეთილებიც ადასტურებს როცა ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე ხდება პარალელური კლასების გაკვეთილების ერთობლივად ჩატარება. მსგავსი ტიპის გამოცდილების შედეგებიდან მოხდა კურიკულუმები შემუშავება.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახულია კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრის წევრები პრობლემის გამოკვეთის შემდეგ ერთობლივად ეძებენ გადაჭრის გზებს. როგორც სკოლაში ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, კათედრა აცნობიერებს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა (მაგალითად, მოსწავლეთა დიაგნოსტირების შედეგების ანალიზი, კოლეგების გაკვეთილებზე დასწრება და უკუკავშირი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და ურთიერთდაკვირვების შედეგები და ანალიზი) გამოყენებული უნდა იქნეს სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. .**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის სხდომის ოქმები;
- სასკოლო კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიით

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლა მოსწავლის შესაფასებლად იყენებს მრავალფეროვან წყაროებს. კერძოდ, მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკების (განმსაზღვრელი, განმავითარებელი) ანალიზით ხდება მოსწავლის აკადემიური მოსწრების დინამიკაზე დაკვირვება. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს ყველა იმ კონტექსტს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოსწავლის შედეგებზე. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებისა და მშობლებისგან იღებენ შესაბამის ინფორმაციას მოსწავლის ინტერესებსა და მოსწავლის თავისუფალი დროის მართვაზე. მოსწავლის ქცევას სკოლაში აკვირდება კლასის დამრიგებელი. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუების შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. საბაზო საფეხურის პედაგოგებმა კათედრების მიხედვით ერთობლივად შეიმუშავეს საგნობრივი კურიკულუმები, ინტერვიუების დროს ისაუბრეს ინტეგრირებულ გაკვეთილებზე და აღნიშნეს, რომ ხშირად იყენებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს და ერთობლივად გეგმავენ სასკოლო პროექტებს, უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ ერთმანეთს კონსტრუქციულ უკუკავშირს. სასკოლო საზოგადოება თანამშრომლობს ერთმანეთთან, სკოლის დირექცია და პედაგოგები თანამშრომლობენ მშობლებთან და მოსწავლეებთან და მათთან კომუნიკაციის საფუძველზე, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე ახორციელებენ სასკოლო პროექტებს.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (საგნობრივი კურიკულუმები, კურიკულუმის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგია) იკითხება, რომ მოსწავლის შეფასებისას მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ ფაქტორებს, მათ ინტერესებს. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლისთვის მნიშვნელოვანია დაადგინოს თუ რამდენად მონაწილეობენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში და რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა და/ან უშლიდა ხელს მათ ჩართულობას აღნიშნულ პროცესში.

ამრიგად მოსწავლის შეფასებისას სკოლა ითვალისწინებს როგორც მოსწავლის მოტივაციაზე მოქმედ შიდა ფაქტორებს ასევე გარე მამოტივირებელ ფაქტორებს.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების;
- შეფასების რუბრიკები;
- სადამრიგებლო გეგმები და დამრიგებლის პორთფოლიოები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კათედრა აცნობიერებს, რომ „დაწერილ“ და „განხორციელებულ“ კურიკულუმს შორის არსებობს განსხვავება და შესაძლოა, სასწავლო პროცესი არ/ვერ წარიმართოს დაგეგმილის შესაბამისად; ან არ ჰქონდეს ის ეფექტი, რომლის მოლოდინიც სასკოლო საზოგადოებას აქვს. თვითსეფასების კითხვარის საფუძველზე, სკოლა/კათედრა გამოხატავს მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს მოხდება კურიკულუმების ხელახალი გადახედვა, გადასინჯვა, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში სათანადო ცვლილებების შეტანა.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**
სკოლაში წინა წლის მონაცემების ანალიზის შედეგად იქმნება გადამუშავებული ვერსია რომელიც ახალი სასწავლო წლისთვის იქნება მთავარი ინდიკატორი იმისა, რომ მოხდეს მოსწავლეთა საჭიროებებზე კიდევ უფრო მორგება და ამ პროცესებში გათვალისწინებული იქნება მონიტორინგის შედეგები, რომელიც აისახება ახალ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში და ის იქნება უფრო ორგანულად დაკავშირებული სკოლის საჭიროებებთან. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე (რესურსი 12), უცხოურ ენაში გასულ სასწავლო წლისგან განსხვავებით, კათედრა გეგმავს 2023 წლის სექტემბრამდე (ანუ ახალი სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე) პერიოდში, თითოეულ კლასში განსახორციელებელი 2 კომპლექსური დავალების შექმნას (სემესტრში თითო კომპლექსური დავალება) და მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში მათ შეტანას. მასწავლებლებთნ საუბრისას გამოიკვეთა, რომ ცვლილებას საფუძვლად უდევს განვლილი სასწავლო წლის გამოცდილება და რეფლექსია. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- .კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამებქ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. საშუალო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავებისას სკოლა ეყრდნობა აღნიშნულ დოკუმენტს. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც მოიაზრებს თითოეული საგნის პედაგოგის მიერ კონკრეტული კლასის მოსწავლეების შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინტერესების, მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას. კურიკულუმების შემუშავების პროცესში მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ, ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ შეხედულებას, აანალიზებენ სასწავლო პროცესის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ამის საფუძველზე გეგმავენ კურიკულუმის ჩარჩოს.სასკოლო კურიკულუმების შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად,. კათედრის მიერ საშუალო საფეხურზე კლასის საფეხურის ფარგლებში შემუშავებულია კურიკულუმი, სადაც წარმოდგენილი მეთოდოლოგიური ნაწილი ხელს შეუწყობს საგნობრივი სტანდარტის ფარგლებში საფეხურის შედეგებზე გასვლას . შუალედური მიზნების მისაღწევად პრიორიტეტად არჩეულია კომპლექსური დავალებები, სტანდარტით გათვალისწინებული თემები რაც მოსწავლემ საფეხურის ბოლოს უნდა შეძლოს და ასევე ყველა თემაში მოახერხოს სამიზნე ცნებებზე გასვლა. ყოველივე აქედან გამომდინარე შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ კურიკულუმის მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების შესძლებლობების გათვალისწინებას.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

საშუალო საფეხურის კურიკულუმებში გაწერილი თემატური კონტექსტები და საგნობრივი საკითხები ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს და ინტერესის სფეროს; შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურებას, შინაგანი მოტივაციის გაზრდას და სწავლის სტრატეგიების დაუფლებას. გათვალისწინებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომები; ინტერვიუს დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ პოზიტიური გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მოსწავლეთა განწყობას, პიროვნულ თავისებურებებს და ინტერესებს, ითვალისწინებენ მათგან მოწვდილ უკუკავშირს; მასწავლებლები ასევე აღნიშნავენ, რომ კურიკულუმის შემუშავებაში გათვალისწინებულია მათ მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, გამოცდილება, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი, რაც თავისთავად ხელს უწყობს კურიკულუმის განავითარებას. როგორც თვითშეფასების კითხვარში აღნიშნავენ, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის მიზნით ისგ ჯგუფის მუშაობაში აქტიურად არის ჩართული მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი.**ინდიკატორი შეესაბამება.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

კურიკულუმი შემუშავებულია კათედტრაზე მათემატიკის მასწავლებლების აქტიური ჩართულობით, ასევე სხვა დაინტერესებული და უფლებამოსილი პირის ჩართულობით, უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლეთა მზაობა, დამოკიდებულებები და აკადემიური მიღწევები გათვალისწიმებული იქნება, რათა მოხდეს თანხმობის დოკუმენტის მიღება რომელიც ასახავს კლასის ინდივიდუალურ საჭიროებას და დაეფუძნება წინარე გამოცდილებას. საშუალო საფეხურზე კათედრის თითოეული წევრი ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე ქმნის და ავითარებს საგნობრივ კურიკულუმებს, სადაც წარმოდგენილია სამიზნე ცნებები, დავალებები, რესურსები, რომლის საშუალებითაც აჩვენებს მოსწავლის განვითარების გზას ესგ-ის შედეგების და გრძელვადიანი მიზნების მისაღწევად. კურიკულუმის განვითარებისა და დანერგვის პროცესში აქტიურადაა ჩართული სკოლის დირექცია, რომელიც მონიტორინგს უწევს კათედრების მუშაობას. მათი ფასილიტაციით ხდება კურიკულუმის გადასინჯვა და მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენა. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

კურიკულუმი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის და ის წარმოადგენს სასკოლო საწავლო გეგმის ნაწილს, უნდა აღინიშნოს, რომ შემუშავებაში ჩართულობის კუთხით მზაობა ასევე წინა პირობაა იმისა, რომ სკოლა უზრუნველყობს მის გავრცელებას სხვადასხვა ფორმით, როგორიც არის ღრუბლოვანი საცავებით და სხვა ასევე გასაუბრებაზე აღინიშნა რომ ამ კუთხით საუბრები მიმდინარეობს მშობელთა კრებებზეც. **შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი 2022-2023 სასწავლო წელი

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას

საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის გზას. კერძოდ, კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები გათვლილია მოსწავლეთა უნარებსა და შესაძლებლობებზე. მათი შესრულება მოსწავლეს რთავს აქტიური სწავლის პროცესში, აქცევს მას სასწავლო პროცესის სუბიექტად. სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლის შინაგანი ძალების გააქტიურებას. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და მრავალფეროვანი პროდუქტით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. სკოლაში განხორციელებული პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა მნიშვნელოვანი უნარის განვითარებას, მათ აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას. მოწოდებული კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს იმ თემების ჩამონათვალს, რომელიც სკოლამ დაგეგმა 20023-2024 სასწავლო წლის განმავლობაში, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად იქნას აგებული. სადაც იკითხება სამივე გრძელვადიან მიზნებზე გამყვანი სამიზნე ცნებები, როგორიც არის: მათემატიკური მოდელი, კან ონზომიერება, ლოგიკა, ასევე შუალებური სასწავლო მიზნები, კონტექსტ მაგალითის-კომპლექსური იდეის სახით, ეს ყოველივე ემსახურება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონსტრუქტივისტული საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებულის სასწავლო პროცესის აგებას რაც თავისთავად პროცესების მოსწავლეზე ორიენტირებულად წარმართვას ემსახურება.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

კურიკულუმში საგნობრივ საკითხების შესწავლასთან ერთად ყურადღება მახვილდება გლობალურ ფუნქციურ 6 უნარზე, რომელიც ხელისშემწყობი არის მოსწავლეებში, ისეთი უნარების განვითარების როგორიც არის: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, ხასიათი და ნებელობა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაზრდა. უნდა აღინიშნოს ასევე სკოლა განახორციელებს კომპლექსურ დავალებებს რომელიც სისტემურად დაკავშირებული იქნება საგნობრივ საკითხებთან ერთად გლობალურ ფუნქციური უნარები. საშუალო საფეხურის კურიკულუმში გრძელვადიანი მიზნები წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით. იქ, სადაც შუალედური მიზნები წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების სახით, გამოკვეთილია სამიზნე ცნებების, ქვეცნებებისა და ქვესაკითხების იერარქია; მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას გააზრებული აქვს, თუ რა შედეგების მიღწევას უნდა ემსახურებოდეს სწავლა-სწავლების პროცესი. შესაბამისად, სტანდარტის შედეგები, სამიზნე ცნებები, მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები აღიქმება გრძელვადიან მიზნებად.

ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს ინტერვიუს დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ათვლის წერტილი არის მოსწავლე და არა საგანი, კლასი, სახელმძღვანელო ან სხვა მსგავსი ორიენტირები; შესაბამისად, სასწავლო პროცესში კათედრის მუშაობა ეფუძნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპებს, რომლის დროსაც მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, ინტერესის სფეროს და სწავლის უნარებს. მაგალითად, ხდება მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო მიზნების განსაზღვრა, სასწავლო პროცესის, შინაარსის, საბოლოო პროდუქტის ფორმის დიფერენცირება, შესაბამისი ეფექტური რესურსების შერჩევა; განსახორციელებელი აქტივობების, დასასწავლი მასალის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგება და ადაპტირება. მასწავლებლებს აქვთ სწორი დამოკიდებულება და ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ შუალედური სასწავლო მიზნის მიღწევის აუცილებელი ინსტრუმენტი არის კომპლექსური ტიპის დავალება, რომელიც საშუალებას აძლევს მასწავლებელს გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და საჭიროებები და შესაბამისი დავალება შესთავაზოს მათ, ცალკეული მოსწავლეებისთვის კი ამ დავალების ადაპტირებული ვერსია მოამზადოს (იგულისხმება არა მხოლოდ სსსმ, არამედ კლასის ნებისმიერი მოსწავლე, თუ დავალების ადაპტირებას საჭიროებს.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების რამდენიმე ნიმუში. გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ემსახურება როგორც მოსწავლეთა შედეგების შეფასებას, აგრეთვე სწავლის პროცესის შეფასებას და მის გაუმჯობესებას; რეკომენდაციის საფუძველზე კათედრა გეგმავს, ახალი სასწავლო წლიდან შეფასების რუბრიკების მოდიფიცირება-განახლებას და შესაბამისად, შეფასება განხორციელდება მკაფიო, ცალსახად გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ რუბრიკებზე დაფუძნებით. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ვიზიტის შემდგომ 2 სამუშაო დღის ვადაში კათედრამ ინგლისურ ენაში, მე-9 კლასში ერთერთ კომპლექსურ დავალებაზე (ძირითადი საკითხი: პრეზენტაცია თემაზე ,,სათავგადასავლო-შემეცნებითი ტური'') შექმნა და წარმოადგინა 1 განმსაზღვრელი და 1 განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც მკაფიოდ ორიენტირებულია სტანდარტის შედეგების მიღწევის ზოგად ინდიკატორებზე, რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ კათედრას აქვს მზაობა და სწორი ხედვა, შექმნას გრძელვადიან მიზნებზე, სტანდარტის შედეგების ზოგად ინდიკატორებზე ორიენტირებული შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ასევე კათედრის წევრებთან საუბარში ნათლად ჩანს დაგეგმვა ხორციელდება წინარე გამოცდილების ანალიზის საფუძველზე. როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან/თვითშეფასების კითხვარიდან და აგრეთვე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გასაუბრებისას გამოიკვეთა, სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. მაგალითად, კათედრის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში, სასწავლო ნაწილის მიერ განხორციელებული მონიტორინგის ანალიზი და ანგარიში, ამ ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი წარმატებული პრაქტიკის მაგალითების გამოკვეთა, გასაუმჯობესებელი სფეროების განსაზღვრა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, მოსწავლეთა შეფასებები, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, განხორციელებული აქტივობებისა და გამოყენებული რესურსების ეფექტურობის ანალიზი, მასწავლებელთა რეფლექსიები და სხვ. რაც შესაბამისად ხდება ახალი სასკოლო კურიკულუმის განვითარების საფუძველი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო;
- საშუალო საფეხურის კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- განმავითარებელი - განმსაზღვრელი შეფასება
- შემაჯამებლის ანალიზი - ფიზიკა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1.სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5.სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.**სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას**

მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩასართავად სკოლა იყენებს კომპლექსურ დავალებებს რომელიც სასკოლო კურიკულუმში აქვთ გაწერილი, უნდა აღინიშნოს რომ კომპლექსური დავალების იდეები ისეთი ფორმით არის მოწოდებული, რომ მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართვის შესაძლებლობას იძვევა რადგან ყურადღება მახვილდება სწავლა კეთებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობებზე, ამასთან მასწავლებლებმა გასაუბრებაზე ისაუბრეს, რომ მათთვის მნიშვნელოვამნია მოსწავლეები მიეჩვიონ და განუვითარდენ ახალი იდეების ძებნის და სასურველი შედეგის მიღებისათვის საინტერესო ინფორმაციის ამორჩევის უნარები. საბუნებისმეტყველო კათედრის წევრები საშუალო საფეხურზე გეგმავენ კომპლექსური დავალებებით წარმართონ სწავლა სწავლება. კურიკულუმის განვითარების დოკუმენტში ასახული განხორციელებული და დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და განსახორციელებლი პროექტები, მოსწავლეს აძლევს საშუალებას შეიძინოს ცოდნა, ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით და ასევე შეიძნოს პროექტის წარმართვის გამოცდილება. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიენტირია - სკოლის მისია, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა მთავარი შესაძლებლობების შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების განვითარებას, ასევე კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები. ტექსტებიც შერჩეულია ისე, რომ საშუალო საფეხურის მოსწავლემ შეძლოს წაკითხულის პირად გამოცდილებაში გადატანა. მასწავლებლები გეგმავენ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმონ კომპლექსური ტიპის დავალებებით, რაც ცოდნის კონსტრუირების ეფექტიანი საშუალებაა. კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მათთან გასაუბრების შედეგები ადასტურებს, რომ კათედრა საგნობივ კურიკულუმებს მოიაზრებს და განიხილავს, როგორც მოსწავლის ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების გზას სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით. ამას მოწმობს მათ მიერ საგნობრივი კურიკულუმების თემატური დაგეგმვა, მათ მიერ განხორციელებული სასწავლო პროექტები, კომპლექსური ტიპის დავალებები, რომლებიც ახლოსაა მოსწავლის რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებთან და გამოცდილებასთან; საგაკვეთილო პროცესში წინარე ცოდნის გააქტიურებისათვის გამოყენებული შეკითხვები, გონებრივი იერიში, გეზისმიმცემი შეკითხვები . **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3**. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე**

კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში მოყვანილი კომპლექსური დავალება ,,გასართობი პარკის დაგეგმარება“ კომპლექსური იდეა გვამცნობს რომ მასწავლებელს აქვს დაგეგმილი სასწავლო პროცესი იმდაგვარად სადაც ყურადღება გამახვილდება სწავლა კეთებით აქტივობებზე, რადგან ბავშვებმა უნდა მოიფიქრონ ორიგინალური დიზაინი და შექმნან მნოდელი, რაც თავის მხრივ კონსტრუქტივისტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანამანათლებლო პრინციპებზე სასწავლო პროცესის აგებას გულისხმობს მათ შეორის სწავლა კეთებით. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება, მისი ინტერესები და ცნობისმოყვარეობა, მსჯელობები გადაწყვეტილების პროცესში მის პოზიციაზე, მათ მიერ შესასრულებელი/შესრულებული დავალებების რეფლექსიაზე (წინმსწრები და შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზები), მოსწავლის ფიქრი იმაზე, თუ რა არის მისი მიზანი, რამდენად ეფექტურია იგი? რა გაუადვილდება, რა გაუჭირდება, რას აკეთებს/გააკეთებს მიზნის მისაღწევად; რაც გვაძლევს იმისი თქმის საფუძველს, რომ სასწავლო პროცესში აცენტები კეთდება სწავლის სწავლაზე.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);კომპლექსური დავალების შესრულების დროს ყურადღება მახვილდება როგორც თეორიულ ცოდნაზე ასევე მის პრაქტიკულ გამოყენებაზე უფრო კონკრეტულად, წარმოდგენილი კომპლექსური დავალება/კომპლექსური დავალების იდეა და მოწოდებული შეფასების რუბრიკის ანალიზი იძლევა იმის აღნიშვნის საშუალებას რომ აქტივობები მასწავლებელს აქვს ცოდნის სამ კატეგორიაზე გათვლილი, როგორიც არის თეორიული მასალის ათვისება და მასზე დაყრდნობით მათემატიკური პროცედურების განმტკიცება და გამოყენებით ცხოვრებისეულ კონტეკსტში გადატანა. სკოლას აქვს მზაობა აღნიშნული მიმარტულებით გააგრძელოს მუშაობა. კათედრას მის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში და საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითად განიხილავს; მაგალითად, იქ სადაც შუალედურ მიზნებად მოიაზრება კომპლექსური დავალებები, კურიკულუმებში იერარქიულად გაწერილია, როგორ მიემართება ქვესაკითხები სამიზნე ცნებებისკენ, რომლის პრაქტიკულად განხორციელება გულისხმობს სწორედ ცოდნის სამივე კატეგორიაზე მუშაობას. მაგალითად, ფაქტობრივი ცოდნის ათვისების შემდეგ (ლექსიკა, გრამატიკა) ხდება ამ ცოდნის სხვადასხვა სავარჯიშოებში გააქტიურება (მითითებულია რესურსები, სავარჯიშოები) და შემდგომ უკვე ფუნქციურ კონტექსტებში გამოყენება (კომპლექსური დავალებები), რაც საკითხის სიღრმისეულ გააზრებას და დასწავლას უწყობს ხელს.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**
კომპლექსური დავალებები, ასევე სასკოლო პროექი შესრულება მოითხოვს თემის ფარგლებში მოხდეს ცოდნათა ურთიერთ დაკავშირება და მის საფუძველზე შეიქმნას შემოქმედებითი პროდუქტი, რაშიდაც მოსწავლე აჩვენებს გავლილი მასალის აქტუალიზების საფუძველზე ახალი ცოდნის აგების მზაობას, ასევე აკავშირებს სხვადასხვა საგანში მიღებულ ცოდნას ერთმანეთს. კათედრას მის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში და საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი აქვს კომპლექსური დავალებები, რასაც ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა საგნობრივი საკითხების სიღრმისეული გააზრების / ცოდნათა ორგანიზებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთდაკავშირების კარგ საშუალებად განიხილავს; კათედრას გაცნობიერებული აქვს, რომ რადგან კომპლექსური ტიპის დავალებები, პროექტები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ასეთი დავალებების განხორციელება ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით**

მოწოდებული კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტის შედგენისას მასწავლებლებმა იხელმძღვანელეს გრძელვადიანი სამიზნე ცნებების მისაღწევი ღონისძიებების ერთობლიობის შესახებ გაეწერათ , და დაეორგანიზებინათ იმ ფორმით, რომ შუალედური სასწავლო მიზნის მისაღწევი აქტივობა კომპლექსური დავალება კავშირში ყოფილიყო მკვიდრ წარმოდგენებთან და გრძელვადიან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამიზნე ცნებებთან. შემუშავებული კურიკულუმები საშუალებას იძლევა დაძლეული იქნას ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო სტანდარტის შედეგები. ხოლო ჩაშენებული თემები იძლევა გრძელვადიან მიზნებზე გასვლის საშუალებას დაგეგმილი აქტივობებით, რომელიც ასევე ითვალისწინებს კომპლექსურ დავალებებს და სასაწავლო პროცესში გამოყენებული მასალა/რესურსები, შესრულებული დავალებები გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

2.**საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას**

უნდა აღინიშნოს რომ სკოლა ზრუნავს შექმნას ისეთი მხარდამჭერი გარემო სადაც თითოეული მოსწავლის პიროვნულ ფსიქოლოგიური განვითარება იქნება მხარდაჭერილი ამისათვის, კოპლექსური დავალების დამუსავების პროცესებს მასწავლებელი განიხილავს არა მარტო საგნობრივი საკითხების შესწავლის საშუალებად არამედ 6 ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარების საშუალებათ, სადაც მოსწავლე ეჩვევა სამოქალაქო პასუხისმგებლობას, იაზრებს თავის როლს საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის პროცესში, ასევე ხდება სხვისი განსხვავებული აზროვნების მიმღები. ყოველივე ეს და სხვა ფაქტებიასევე გახდება სასწავლო პროვცესში მთავარი პრობლემის გადაწყეტის საშუალება. როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კათედრა აცნობიერებს და ითვალისწინებს, რომ ვინაიდან სწავლა არის მოსწვალის პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესი, ის მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ამიტომ, საგნობრივი საკითხების შერჩევისას მასწავლებლები ცდილობენ, რომ ისინი არც ძალიან მარტივი იყოს და არც ძალიან რთული მოსწავლისთვის და მათი შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“). ამის მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს საგნობრივ კურიკულმებში წარმოდგენილი თემატური ერთეულები და შინაარსობრივი კონტექსტები, კომპლექსური დავალებები, შერჩეული რესურსები. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე**

კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (რესურსი 12) აღნიშნულია, რომ მომავალის სასწავლო წლისათვის სკოლა განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს ირჩევს. ამ ეტაპზე (ანუ ავტორიზაციის განაცხადის ეტაპზე) განმსაზღვრელი შეფასების ორი რუბრიკის შექმნა მოხერხდა (მეშვიდე და მერვე კლასი), რაც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ კათედრას აქვს მზაობა და სწორი ხედვა, შექმნას გრძელვადიან მიზნებზე, სტანდარტის შედეგების ზოგად ინდიკატორებზე ორიენტირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების რუბრიკები საშუალო საფეხურზეც. სკოლაში განმავითარებელი შეფასება მიმდინარეობს არსებული სისტემის მიხედვით ინდივიდუალურად თავად საგნის მასწავლებლის მიერ. მომდევნო სასწავლო წელს მოხდება მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაზიარება კათედრაზე. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კათედრა შეფასების დროს აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე და შედეგებზე/საბოლოო პროდუქტზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში და როგორია მისი საერთო პერფორმანსი, მაგალითად, კომპლექსურ დავალებაზე, სასწავლო პროექტებზე მუშაობის განმავლობაში. რეკომენდაციის საფუძველზე, კათედრა გეგმავს მოსწავალის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენოს და უპირატესობა მიანიჭოს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას. ინდიკატორი **შესაბამისობაშია.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

მოწოდებული შეფასების კრიტერიუმები და გასაუბრებაზეც აღინიშნა, რომ ის არის კათედრაზე განხილული რათა მოხდეს შეფასების სისტემის მიზანთან შესაბამისობაში მოყვანა და შესაბამისი კომენტარის დართვა რათა უფრო მოქნილი და გასაგები ენით იყოს დაწერილი, ამასთან შეფასების რუბრიკები არის გრძელვადიან მიზანზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყობს სამიზნე ცნებების გარშეწმო ფოკუსირებას რაც თავისთავად ვალუდურს ხდის რუბრიკებს, ხოლო ის დაინტერესებული პირებისათვის არის ხელმისაწვდომი. აქედან გამომდინარე კრიტერიუმები არის სანდო ვალიდური და გამჭვირვარე. საშუალო საფეხურზე სპორტის მიმართულებით განმსაზღვრელი და განმავთარებელი შეფასების რუბრიკები სრულყოფილად არ წარმოუდგენიათ, მაგრამ ვინაიდან სკოლას აქვს შეფასების რუბრიკების შემუშავების გამოცდილება ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში სპორტის მიმართულებით მოხდება შეფასების რუბრიკების შემუშავება და დახვეწა თემების მიხედვით, რომელიც იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიექტური. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5.**სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

<u>მოცემულ ეტაპზე კათედრის წარმომადგენლებმა გულწრფელად აღნიშნეს, რომ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმასთან დაკავშირებით, რა სახის უნდა იყოს ვერიფიკაციის დოკუმენტი, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილ შეფასების ინსტრუმენტები და ზეპირი რეფლექსია მეტყველებს იმაზე, რომ კათედრას შეუძლია შემუშავებული კრიტერიუმის ეფექტიანობის შემოწმება. ამასთან, სასკოლო გეგმაში იკითხება, რომ სამომავლოდ შეფასების კრიტერიუმების შემუშავებასა და შეთანხმებას განახორციელებს კათედრა, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია.გასაუბრებაზე აღინიშნა, სკოლაში</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვერიფიკაციის მექანიზმზე საუბარი ძირითადად კათედრაზე მიმდინარეობა, რისთვისაც ისინი, შეიმუშავებენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად მიესადაგება მოსწავლეთა საჭიროებს. სკოლას ჯერჯერობით არ აქვს შემუშავებული შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ერთიანი მექანიზმი, წარმოდგენილ მტკიცებულებებზე დაყრდნობით შესაძლებელია, რომ დავასკვნათ - შეფასების მექანიზმის ცალკეული ელემენტები გვხვდება სკოლაში. ინტერვიუების დროს დაზუსტა, რომ სკოლა გეგმავს ამ მიმართლებით უფრო სიღრმისეული სამუშაოების წარმოებასკოლამ შეიმუშავოს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის ერთიანი მექანიზმი და შესაბამისობის გეგმაში ასახონ აღნიშნული სამუშაოს შესრულების ვადა. **არგუმენტირებული პოზიციით სკოლა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრავს რომ აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდება (18.10.23მდე) აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი მეტწილად შესაბამისობაშია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

კათედრა საშუალო საფეხურზე იყენებს განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებას; განმავითარებელი შეფასება ძირითადად ხორციელდება სიტყვიერად, კომენტარების სახით; განმსაზღვრელი შეფასებისთვის კი გამოიყენება შეფასების სამკომპონენტიანი მოდელი (საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი დავალებები); კათედრაზე ხდება შესრულებული წერითი თუ ზეპირი საკლასო-საშინაო დავალებების, კომპლექსური დავალებების/საბოლოო პროდუქტების, პრეზენტაციების, შემაჯამებელი სამუშაოების და მათი შეფასებების, როგორც მტკიცებულებების, აღრიცხვა და შენახვა.**შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნებს**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი
- შემაჯამებელი წერების ანალიზი
- შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

პედაგოგებთან გასაუბრებისა და მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ სკოლაში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც ქმნის ნაყოფიერ სივრცეს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. თანამშრომლობითი ურთიერთობები კათედრებსა თუ არაფორმალურ გარემოში და გამოცდილებების გაზიარება პრიორიტეტია მათი საქმიანობის პროცესში. ეს კი ხელს უწყობენ სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სასწავლო პროცესში მასწავლებლები ორიენტირებულნი არიან მოსწავლის პიროვნულ და ემოციურ განვითარებაზე, სოციალური უნარების გამომუშავებაზე, საგნობრივი საკითხების საფუძვლიან ანალიზზე; კურიკულუმის დაგეგმვისას შერჩეული თემები, საკითხები, ტექსტები შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს, ინტერესებსა და ცხოვრებისეულ გამოცდილებას, წახალისებულია შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობითი კულტურა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

კათედრის წევრებისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი ურთიერთობები, გამოცდილების გაზიარება, გამოწვევებისადმი გუნდური მიდგომა, რაც დასტურდება კურიკულუმის ჩარჩოს შექნის პროცესში პედაგოგთა თანამშრომლობით. სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოქალაქევის საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრების მუშაობა მიმდინარეობს როგორც ფორმალურ, ისევე არაფორმალურ გარემოში, აქტიურად ზიარდება გამოცდილება. სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კრიტიკული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მეგობრის ინსტიტუტს, ურთიერთდასწრებებსა და უკუკავშირის გაცემა-მიღებას. ტარდება სამუშაო შეხვედრები, სადაც მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ ტრენინგებზე, კონფერენციებზე ინტერნეტ სივრცეში, საგანმანათლებლო პერიოდულ გამოცემებში მოპოვებულ ინფორმაციასა და ინოვაციებს.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე

სასწავლო გარემო დამყარებულია ნდობასა და კეთილგანწყობაზე. კათედრის წევრებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, რაც გულისხმობს მათი უნარისა და შესაძლებლობების დაფასებას; იციან, რომ მასწავლებლები დადებითად შეხვდებიან მათ შეკითხვებს, განსხვავებულ მოსაზრებებს, წაახალისებენ შემოქმედებითობასა და კრიტიკულობას. კათედრამ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ დირექცია ხელს უწყობს უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს შექმნას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1.მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1.მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3.მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად
სკოლაში ფუნქციონირებს შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი კერძოდ გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ გაკვეთილზე დასწრება კოლეგის მხრიდან მიზნად ისახავს გასაუმჯობესებელი მხარის გამოკვეთას და შესაბამისი ქმედითი ნაბიჯების დასახვას, ამასთან მომავალი წლისათვის კურიკულუმის შედგენისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან მასალას იმისათვის, რომ შედეგები იყოს მიზნის შესაბამისად მიღწეული და მოხდეს მოსწავლეთა აკადემიური წინსვლის ხელშეწყობა.სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში (რესურსი 12) აღნიშნულია, რომ ამ ეტაპზე სკოლაში არსებობს სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარების გამოცდილება. ხოლო ახალი სასწავლო წლიდან სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად შემოთავაზებული 4 ინსტრუმენტიდან შერჩეულია პირველი ინსტრუმენტი. 2023-2024 სასწავლო წელს დიაგნოსტიკური წერა ჩატარდება ორჯერ. (სემესტრში თითო დიაგნოსტიკური წერა).**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**
მონიტორინგი სკოლაში ატარებს სისტემურ ხასიათს და ის მიზნად ისახავს სასწავცლო პროცესში გასაუმჯობესებელი მხარის გამოკვეთას და შესაბამისად აღმოფხვრის გზების ძიებას, ასევე მონიტორინგიდან მიღებული შედეგები აისახება კათედრის დოკუმენტაციაში და დამხმარე საშუალებას წარმოადგენს მომდენო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებაში. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც ასახულია თუ როგორ (რა საშუალებებით) ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. კათედრის წევრებს აქვთ სწორი ხედვა იმასთან დაკავშირებით, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა უნდა ემსახურებოდეს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერას და არა დასჯას, რაც თავისთავად ქმნის წინაპირობას მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის და ხელს უწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას,**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგი და შეფასება რომ პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას განსაზღვრავს დასტურდება იმით, რომ კათედრას შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც, ერთი მხრივ, დააკვირდება, რა ცოდნა აქვთ მოსწავლეებს საფეხურის სამიზნე ცნებებთან მიმართებით, მეორე მხრივ, გამოკვეთს ტიპურ პრობლემებს და დაგეგმავს აქტივობებს მათ გადასაჭრელად. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას. განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ ხდება სასკოლო საზოგადოების გაძლიერება და მხარდაჭერა. გამოიკვეთება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც გათვალისწინებული იქნება ახალი კურიკულუმის შედგენისას. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. როგორც სკოლაში ვიზიტის დროს მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, კათედრა აცნობიერებს, რომ სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა (მაგალითად, მოსწავლეთა დიაგნოსტირების შედეგების ანალიზი, კოლეგების გაკვეთილებზე დასწრება და უკუკავშირი, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებისა და ურთიერთდაკვირვების შედეგები და ანალიზი) გამოყენებული უნდა იქნეს სასწავლო პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის.**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1.შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ მოწოიდსებული შეფასების რუბრიკები განმსაზღვრელი-განმავითარებელი, ასევე გასაუბრებაზე აღინიშნა მოსწავლისათვის გაცემული ზეპირი კომენტარი, წერილობითი კომეტარი, ასევე შედეგების ამღწერი ტაქსონომია. ერთობლიობაში საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ სკოლაში ფუნქციონირება შეფასების მრავალფეროვანი, წყაროები რის საშუალებითაც ხდება მოსწავლის მიღწევის შედეგების აღწერა და შესაბამისი უკუკავშირების გაცემა. კათედრას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების ნიმუშები, მათ შორის, საკლასო, საშინაო, შემაჯამებელი და კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკები; შერჩეული აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების პირველი ინსტრუმენტი, რომელიც კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის მონიტორინგის, შეფასების, ტიპური პრობლემების გამოკვეთისა და ანალიზის საშუალებას იძლევა; შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს, როგორიცაა, მოსწავლეთა თვითშეფასება, თანატოლთა ურთიერთშეფასება და უკუკავშირი; მშობლებთან და კლასში შემსვლელ სხვა მასწავლებლებთან, კლასის დამრიგებელთან გასაუბრება.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2.შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

მოსწავლეთა შედეგების ანალიზისათვის სკოლა გეგმავს აწარმოოს მონიტორინგი და დაკვირვება მოსწავლის მიღწევებთან მიმართებით, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც საგნობრივი ცოდნა ასევე 6 ფუნქციურ კომპონენტური უნარებიც.
მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ საგაკვეთილო პროცესში იყენებენ სხვადასხვა მეთოდსა და სტრატეგიას. შესაბამისად, მრავალფეროვანი აქტივობები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის შეფასებას მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მართალია, მეტწილად ზეპირი განმავითარებელი კომენტარით აღიწერება მოსწავლეთა ცოდნა და გამოცდილება, მაგრამ ინტერვიუზე დაყრდნობით, მასწავლებლებს ესმით, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას და ამ მოთხოვნას უნდა უპასუხოს მათმა საგნობრივმა კურიკულუმმაც. კათედრა იყენებს შეფასების სხვადსხვა ფორმას (დიაგნოსტიკა, გასასვლელი ბარათები, სოლო ტაქსონომია, შეფასების რუბრიკები), რაც საშუალებას აძლევთ დაინახონ შედეგი და დავგეგმოთ საჭირო მიდგომები აღმოჩენილი პრობლემის აღმოსაფხვრელად, კერძოდ, ითვალისწინებენ, რა გაუჭირდათ მოსწავლეებს და როგორ შეიძლება საკითხის გამარტივება ისე, რომ საგაკვეთილო პროცესი არ იყოს დამთრგუნველი და სწავლა-სწავლების პროცესი წარიმართოს ხალისით; **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3.შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილია მრავალფეროვანი სავალდებულო თემები და წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები . აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას ,რომ მომავალ სასწავლო წელს საბუნებისმეტყველო კათედრა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებს შესთავაზებს ყველა საგანში სხვადასხვა თემატიკის, კონტექსტის ფარგლებში ცოდნის კონსტრუირებას შესაძლებლობას. აგრეთვე იგეგმება შეფასების სქემების, კრიტერიუმების შემუშავება სხვადასხვა აქტოვობებისთვის, კომპლექსური ბუნების დავალებებისათვის შესაბამისი უნარების, თემატიკის, შესაძლებლობების, ინტერესების გათვალისწინებით და სამიზნე ცნებებთან მიმართებით. სკოლის დოკუმენტაციიდან და გასაუბრებიდან ირკვევა ,რომ შეიქმნება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები , სადაც განსაზღვრული იქნება, თუ რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ მოსწავლეებისგან თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით.სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩამოთვლილი მრავალფეროვანი აქტივობები- ინტეგრირებული და სასკოლო პროექტები, კვლევები,ოლიმპიადები და საშუალო საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილი სავლდებულო თემები, საკითხები ,კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები იძლევა საშუალებას მოსწავლე შეფასდეს მრავალფეროვანი კონტექსტების გათვალისწინები.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4.შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით

კათედრა გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს კომპლექსური და მოიცვას სხვადასხვა მიმართულება: განმსაზღვრელ/განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, მოსწავლეზე დაკვირვება, მოსწავლეთა და მასწავლებელთა თვითშეფასების რუბრიკების გამოყენება. შეფასება პირველ რიგში ეყრდნობა მათემატიკის საგნობრივ სტანდარტს რომელიც ასახავს იმ ინდიკატორც თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ თემის ფარგლებში, ამასთან გასათვალისწინებელია რომ მოწოდებულ ინდიკატორებში ჩანს ფუნქციურ კომპონენტური 6 უნარის ფუნქციური გამოყენება რათა მოხდეს სრულყოფილად მოსწავლის საგნობრივ საკითხების გააზრების კუთხით და ასევე ფსიქო სოციალური კუთხითაც აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს მოსწავლეთა ჯგუფური სამუშაოს შესრულების ხარისხის დაკვირვების რუბრიკის არსებობა რაზედაც გასაუბრებაზე ისაუბრეს პედაგოგებმა.**ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წლიური სამოქმედო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმი;
- შემაჯამელი დავალებების ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

1.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, კათედრა აცნობიერებს, რომ „დაწერილ“ და „განხორციელებულ“ კურიკულუმს შორის არსებობს განსხვავება და შესაძლოა, სასწავლო პროცესი არ/ვერ წარიმართოს დაგეგმილის შესაბამისად; ან არ ჰქონდეს ის ეფექტი, რომლის მოლოდინიც სასკოლო საზოგადოებას აქვს. თვითსეფასების კითხვარის საფუძველზე, სკოლა/კათედრა გამოხატავს მზაობას, რომ 2023-2024 სასწავლო წლის ბოლოს მოხდება კურიკულუმების ხელახალი გადახედვა, გადასინჯვა, შეფასება და საჭიროების შემთხვევაში სათანადო ცვლილებების შეტანა.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

სკოლაში წინა წლის მონაცემების ანალიზის შედეგად იქმნება გადამუშავებული ვერსია რომელიც ახალი სასწავლო წლისთვის იქნება მთავარი ინდიკატორი იმისა, რომ მოხდეს მოსწავლეთა საჭიროებებზე კიდევ უფრო მორგება და ამ პროცესებში გათვალისწინებული იქნება მონიტორინგის შედეგები, რომელიც აისახება ახალ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში და ის იქნება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფრო ორგანულად დაკავშირებული სკოლის საჭიროებებთან. ინტერვიუების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე; გასაუბრების შედეგებიდან გამოიკვეთა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის იგეგმება კურკულუმის რევიზია/განახლება მათ შორის უკვე შექმნილი კურკულუმის ჩარჩოების, რომელშიც გათვალისწინებული იქნება წინარე გამოცდილება. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

თარიღი 05.11.2023წ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: